„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2007 წ. ივნისი * №14 * ფასი 70 თეთრი







საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წ.წ. გვ. 3

პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორს სკოლა საკუთარ კანტორად აქვს გადაქცეული გვ. 12

ჯვართმებრძოლობა და მართლმადიდებლური ეკლესიის ნგრევა საქართველოში გვ. 20



## გურამ შარაძე მანქურთთა ხროვისა და ატეიზმის მსხვერპლი

ლეილა ცომაია

ქათული კულტურის, ენის, მამულისა და სარწმუნოების უდიდესი მცველისა და მოამაგის გურამ შარაძის მკვლელობის ცნობამ მეხივით დაიქუხა მთელ საქართველოში და ძრწოლვით შეძრა მისი სათაყვანებელი ქართველი ერი. ერი, რომლის ტრადიციებისა და ზნეობრივი სახის შენარჩუნებისთვის გააფთრებამდეც კი იბრძოდა იგი. ისე, რომ არად აგდებდა საკუთარ პრესტიჟსა თუ რეგალიებს, არამედ მზად იყო, უკიდურეს შემთხვევაში, ფიზიკურადაც კი ჩართულიყო ამ მამულიშვილურ მრძოლაში, რისთვისაც იგი

გაგრძელება მე-2 გვ.

*დასაწყისი 1 გვ.*

სააკაშვილის დენაციონალიზებულმა ხელისუფლებამ, ხულიგნობის ბრალდებით, მრავლჯერ გამოამწყვდია საკანში. „ენა, მამული, სარწმუნოება" – ყველაზე მგრძნობიარე და მტკივნეული თემები იყო მისთვის და ამ ფუნდამენტურ საკითხებთან მიმართებაში მას, კომპრომისი, უბრალოდ არ შეეძლო.

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შემდგომ, გურამ შარაძე ნამდვილად წარმოადგენდა ერისა და ქვეყნის ინტერესების დამცველ თავდადებულ ფიგურას, რომლის არსებობა საზოგადოებას ყველაზე მეტად, ეიმედებოდა, ხოლო მოსვენებას უკარგავდა ხელისუფალთ.

გურამ შარაძის მკვლელობის ოფიციალური ვერსია არადამაჯერებელია, და იგი პოლარულად სცილდება ბანლურ და პიკანტურ „შურისძიების" მოტივს, მითუმეტეს, როცა მკვლელის განაწყენების სუბიექტს, უშუალოდ ბატონი გურამი არ წარმოადგენდა, არამედ - შვილი, მაგრამ ორთავეს (ბ-ნი გურამსა და თავის შვილსაც) მკვლელ ბარათელთან კონტაქტი მრავალწლის განწყვეტილი ჰქონდათ.

ჩნდება ვერსია: საქართველოს სპეცსამსახურებმა ხომ არ „გამოჩხრიკეს", გურამ შარაძის შვილზე წარსულში განაწყენებული ეს ვინმე ბარათელი, რათა „შურისძიების" მოტივით შეენიღბათ გურამ შარაძის სპოლიტიკური მკვლელობა? მსგავსად გრიგოლ ხურცილავასი, რომელმაც თითქოს ჟურნალისტი გიორგი სანაია მოკლა?

ქილერის პროფესიონალიზმით გახორციელებული გურამ შარაძის მკვლელობის ადგილი და დრო, არამც და არამც არ ქმნის გულღრძო ჩასაფრებული შურისმაძიებლის შთაბეჭდილებას, არამედ - ასე რისკიანად, მიზანდასახულად და გაბედულად, უფრო სპეცსამსახურების პროფესიონალი ქილერები მოქმედებენ.

გურამ შარაძეს, დაახლოებით 9 წლის წინ შვილი მოუკლეს. მკვლელმა წინა დღით, თავისი მსხვერპლის ბინის გასაღები მოიპარა, გვიან ღამით მის ბინაში შევიდა და მძინარე ახალგაზრდა კაცს საფეთქელში ესროლა. მკვლელი დღემდე უცნობია.



რამდენადაც საინფორმაციო საშუალებებით გახმაურდა, გურამ შარაძის 29 წლის მკვლელი, ობოლი გიორგი ბარათელი კრიმინალური მენტალიტეტისა და წარსულის მქონე პირია, რომელიც 9-10 წლის წინ დაახლოებული ყოფილა შარაძეების ოჯახთან, რომელსაც ბ-ნი გურამი, როგორც ობოლს, თურმე შეძლწბისდაგვარად პატრონობდა კიდეც.

ხომ არ იყო, იგივე ბარათელი, გამოყენებული გურამ შარაძის შვილის მკვლელობაშიც?

დღეს უკვე გამჟღავნებული მისი კრიმინალური სახე, ნიშანდობლივად უტყვი და გასაიდუმლოებული პიროვნული ნიშანი, ამგვარი თამამი ვერსიის წამოყენების საფუძველს ქმნის. თუმცა, არ უნდა ველოდოთ, რომ სააკაშვილის „ჯიბის პროკურატურა" ამ მიმართულებით იმუშავებს; უფრო მეტიც – გამოიძიებს თავად გურამ შარაძის მკვლელობას.

„შურისმაძიებელი მკვლელი" დაჭერილია და მას, ალბათ, გრიგოლ ხურცილავას ანალოგიით გაასამართლებენ.

ჩვენთვის და ვფიქრობ მთელი საქართველოსთვისაც უფრო მნიშვნოვანი და საინტერესოა გურამ შარაძის მკვლელობის ნამდვილი, რეალური მოტივი და მიზანი. ამ თვალსაზრისით კი საყურადღებო და საგულისხმოა ორი მოარული ვერსია: 1. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში მუშავდება ლევილის სარფიანად გაყიდვის გეგმა. 2. სოროსელთა და იელოველთა სექტების მოსალოდნელი გაძლიერება ხელისუფლებაში. ორივე გეგმა შეიცავს ჩვენი თავისთავადი ისტორიული მეხსიერებისა და ფუნდამენტალური საფუძვლების (აღმსარებლობის, ტრადიციების) სრული რღვევისა და მოშლის სტრატეგიას, რომლის მძლავრ მოწინაალმდეგედ, თავისი ანგარიშგასაწევი რეგალიებით, ხელისუფლებას გურამ შარაძე მიაჩნდა.

ამგვარი „პერსპექტივის" გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ გურამ შარაძის მკვლელობა პოლიტიკური მოტივით გაჯერებული პრევენციული აქტი იყო.

თხემით ტერფამდე ქართველი პატრიოტი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე გურამ შარაძე სიძულვილით მოკლა სააკაშვილის ანტიეროვნული ხელისუფლების მანქურთთა ხროვამ, რომელმაც საამისოდ ეფექტურად გამოიყენა კრიმინალური მენტალიტეტის, ბოლი და მოუსაფარი ახალგაზრდა, რომლის ინტეგრირება, ქართული გვარის შეძენის მიუხედავად, თავისი ატავისტური ეთნოგენების გამო, ვერ მოხდა ქართულ საზოგადოებაში.

თემის გაგრძელება იხ. მე-16 გვ.

## ჩეჩნების საპროტესტო აქცია თბილისში

თბილისში, ყაზბეგის პროსპექტის №2-ში მდებარე გაეროს სამხედრო კომისარიატის შენობის უკანა ეზოში მრავალდღიანი საპროტესტო აქცია მოაწყვეს პანკისის ხეობიდან ჩამოსული ჩეჩენი დევნილების შვიდმა ოჯახმა. ისინი თბილისში ბავშვებით ჩამოვიდნენ და გაეროს სამხედრო კომისარიატისაგან მესამე ქვეყანაში გამგზავრების უზრუნველყოფას მოითხოვდნენ. პანკისში ჩასახლებული ჩეჩენი დევნილები ბოლო სამი წელია, რაც ინტენსიურად აყენებენ ამგვარმოთხოვნას, მაგრამ მათ ყურადღებას, არც საქართველოს ხელისუფლება და არც საერთაშორისო ორგანიზაციები აქცევენ.






„ჩვენ შვილას ვხაჭიროებთ, რადგან პანკისში არა გვაქვს ცხოვრების არანაირი პირობები, არა გვაქვს საჭმელი, არა გვაქვს პური, არა გვაქვს სამსახური, არა გვაქვს ჩასაცმელი, ჩვენი შვილები ელემენტალური საჭირო პროდუქტებით ვერ ცხვებიან. ჩვენ აქ განწირულები ვართ, ჩვენს შვილებს წაართვეს მომავალი, არავის სურს ჩვენი შველა. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს თავისი დევნილები ჰყავს და მათ ჩვენ ზედმეტ ტვირთად ვაწვავართ. ჩვენ მადლობელი ვართ საქართველოს ხელისუფლების, რომლებმაც ომის დროს შეგვიფარა, მაგრამ ახლა მშვიდობიანობის პირობებში შიმშილით ვილუპებით", აცხადებენ სასოწარკვეთილებამდე მისული ჩეჩენი დევნილები, მაგრამ ისინი, ვერც გაეროს სამხედრო კომისარიატიდან იღებენ სანუგეშო პასუხს.

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს დამოუკიდებლობა (1918-1921 წ.წ.)

## (იბეჭდება შემოკლებებით – საგაზეთო ვარიანტი)

**"ჩემი სურვილი არის, საქართველო ისეთივე ძლიერი იყოს, როგორც წინად იყო; რომ არავითარი დახმარება უცხოელთა არ სჭირდებოდეს მშვიდობიანობისა და ომის დროს.**
**მაგრამ რაკი დროთა ბრუნვისა, ანუ დაუდგრომლობის მიზეზით ერთად, ისეთ დაუძლურებამდის მივედით, რომ სხვებს უნდა დავემორჩილოთ, მე უფრო გონივრულად მიმაჩნია, იმათგან ვიყოთ დამოკიდებული, ვინც უფრო ზომიერი და მართლის მოყვარეა და ვინც მეგობრობას თავის მეცავშირეებთან უფრო მტკიცედ ინახავს"... – აიეტი (554 წ.).**

დამოუკიდებლობისაკენ მიდრეკილებამ საქართველოში თავი იჩინა რუსეთის რევოლუციის პირველსავე დღეებში. სხვა გვარათ არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა არა ნორმალურ პირობებში; თავის დროზე (1801წ. და შემდეგ) იგი უმტკივნეულოდ არ ჩატარებულა. ')
თუმცა გამარუსებელი პოლიტიკა დიდ ენერგიას ხარჯავდა, შესახედავათ ნაყოფიერიც იყო, თუმცა საქართველოსათვის სრულიად შეუძლებელი ხდებოდა ეროვნული ცხოვრების მოწესრიგება, მაინც საკმაო შეერთება და შეღულება რუსეთსა და საქართველოს შორის არ მომხდარა...

მხოლოდ 1917 წლის რევოლუცია იძლეოდა საიმედო საშუალებას საქართველოს კითხვა დაყენებულიყო, როგორც საგარეო სამართლის კითხვა რუსეთში, მაგრამ მხოლოდ ბოლშევიკურმა გადატრიალებამ და ომის პოლიტიკურმა კონიუნქტურამ, 1918 წლის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ, შესაძლოთ გახადა ამ კითხვის საერთაშორისო ნიადაგზე (ბევრისათვის მოულოდნელი) გადაწყვეტა, და საქართველოს სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება...

გერმანიის დელეგაციის წევრებთან გულახდილ ბაასში მომზადდა საქართველოს მომავალი პოზიცია – ჩვენ წინდაწინვე ვგრძნობდით, რომ ამიერ-კავკასიის კოალიცია აუცილებლათ დაიშლება. საიდუმლოება იცოდა რამოდენიმე კაცმა. თავმჯდომარე საქართველოს ეროვნული საბჭოსი, სოც.-დემ. პარტიის ბელადი, როგორც ამიერ-კავკასიის სეიმში, ისე საქართველოში, ტფილისიდან ჩამოსული ნოე ჟორდანია თავის მდგომარეობით იყო სწორეთ ის პიროვნება, რომელსაც თავის თავზედ უნდა მიეღო მოვალეობა ტფილისში ამ განზრახვისთვის საჭირო ძირითადი აქტების გატარებისა (საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და ამიერ-კავკასიის სეიმის მიერ თავის თავის დაშლა), მას ეტყობოდა რყევა, რაც სავსებით გასაგები და კანონიერია: საქართველოს დამოუკიდებლობა არ შეეფერებოდა არც მის წინანდელ მუშაობის მოძღვრებას, არც რუსეთის სოც.-დემ. პარტიის წევრობას, მაგრამ, როცა "ირწმუნა", ახალი პროგრამის ჩატარებას გამოცდილის ხელით შეუდგა.

22 მაისს ის დაბრუნდა ტფილისში. მუშაობა "გერმანია-საქართველოს" და "ამიერ-კავკასია-ოსმალეთის" პარალელურათ და სისწრაფით სწარმოებდა.

24 მაისს ფონ-ლოსსოუმ შეგვატყობინა, რომ მისმა ცდამ შუამავლობის შესახებ ფუჭათ ჩაიარა. 25 მაისს ამიერ-კავკასიის დელეგაციის თავმჯდომარეს გენერალმა შეატყობინა, რომ, რადგან, როგორც მას ცნობები აქვს, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაშლას აპირებს, და ამით იცვლება მდგომარეობა, მისთვის საჭიროა პირდაპირი დამოკიდებულება იქონიოს თავის მთავრობასთან და ამიტომ იგი სტოვებს ბათომს დღესვე საღამოს და მიემგზავრება გემით – "მინა პორნ".

მართლაც, იმავე საღამოს გერმანიის დელეგაცია გავიდა ბათომიდან.

26 მაისს ამიერ-კავკასიის დელეგაციამ მიიღო ოსმალეთის ყველა წინადადება (ოსმალეთის სასარგებლოთ საზღვრების შეცვლის დამატებებით). ულტიმატუმის მიღების წუთში ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა უკვე არ არსებობდა; სწორეთ 4 საათის წინეთ ტფილისში გამოცხადებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ აი რამოდენიმე ნაწყვეტი დღიურიდან, რაც უფრო კარგათ გამოხატავს მოვლენათა ცვლილებას.

**ბათომი. 21 მაისი, 1918 წ.**

დილით ნ. ჟორდანია, ნიკოლაძე და მე რუკაზე ვათვალიერებთ ჩვენთვის საჭირო საზღვრებს, უკიდურეს შემთხვევაში თანახმა ვართ "მივცეთ" ზაქათალის ოლქი. არავითარ საზღვრების სხვა შესწორებას აზერბაიჯანის სასარგებლოდ ჩვენ არ დავუშვებთ. ოსმალები პირდაპირ გვახრჩობენ, მაგრამ ახალციხე და ხერთვისი საქართველოში უნდა დარჩეს.

დღისით თათბირი აქვთ თურქებსა და ქართველებს ერთიერთ საზღვრების გამო. ერთის მხრით




ნიკოლაძე, ჟორდანია, ხურგულაძე და მე; მეორეს მხრივ ხანხოისკი, ხასმამედოვი, საფიკურდსკი, პეპინოვი, უსუბეკოვი, ჯაფაროვი. სომხებმა უარი განაცხადეს ელისავეტპოლის გუბერნიაზე (ყარაბაღი), და მუსლიმანები... დათანხმდნენ ამიერ-კავკასიაში ცალკე სომხური კანტონის დაარსებაზე (დაახლოებით, ახლო წარსულის დროის ერობის ოლქების სხემით "ალექსანდროპოლის გუბერნია"). მზათ არიან ჩვენ წაგვგლიჯონ სიღნაღის, ტფილისის და ბორჩალოს მაზრების ნაწილები (როგორ მიიღებდნენ ამ ამბავს მცხეთის საძარეში მდებარე მეფეები!); მაგრამ აქ შეთანხმება შესაძლებელია; ისინი დაგვითმობენ. ახალციხის შესახებ პეპინოვი თვით-გამორკვევის პრინციპს აყენებს (ფიქრობს, რომ ოსმალეთს შეუერთდება).

საერთოდ ჩვენი მეგობარი მუსლიმანები გვარწმუნებენ, რომ "სამსახოვან" მთლიან ამიერ-კავკასიას ყოველ გვარად დაიცავენ; მაგრამ რა ვქნათ, ამბობენ ისინი, თუ ოსმალოები არ დაგვეთანხმნენ და ერთი განზრახული "კანტონთაგანი" არ იარსებებს! ამ შემთხვევაში მათ სურთ ამიერ-კავკასია შეინარჩუნონ ორსახოვნათ...

ჩვენ უპასუხეთ, რომ თუ ამიერ-კავკასიას ასეთი უბედურება დაატყდა ბათომში, მაშინ ჩვენ თავს თავისუფლად ჩავთვლით და ყოველი მხარე მდგომარეობას ასწონ-დასწონის.

ნუ თუ ნაადრევი არ იყო ტფილისში ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის შეთხზვის დაწყება!

შემდეგ ვისერნეთ "ამიერ-კავკასიის" ავტომობილით; ჩემი თანამგზავრები – ჩხენკელი და ჟორდანია – ერთი წლიწადია, რაც შეჩვევნ რევოლუციის ხელისუფლების ამ ძვირფას ნიშანს. ქობოხის ხეობის ალმა აჭარის-წყლის შეერთებამდის. რამდენათ უფრო სასიამოვნოა ეს სანახაობა, ეს მდუგარი ფესვ-გადგმული ხეები ზღვის ნაპირის "სუბტროპიულ" ნაკვხირეზე.

დატყვერთული სახედრების ჯგუფები და მათი გამყოლები, საეჭვოა გამოცვლილიყვნენ მას შემდეგ, რაც ჩვენი ნეტარ-ხსენებული მამა გრიგოლ ხანძთელი აქ ახლოს, კლარჯეთში – ამ ქართულ თიბაიდაში – სხვა ბერებთან ერთად ლოცულობდა ჩვენი ცოდვებისათვის ათასი წლის წინათ.

ეს არიან გამოქცეულები, რომელნიც ქვეყანას მოჰფინა რუს-ოსმალეთის შეტაკებებმა და რომელნიც ეხლა შინ ბრუნდებიან.

გვიან ღამით ვეხმარები გენერლებს ოდიშელიძესა და ყორღანოვს ოსმალეთის ორ ოფიცერთან ერთად სპეციალურ სამხედრო შეთანხმების გადახედვაში. მეცოდება გენერლები.

**22 მაისი.**

რადგან ამიერ-კავკასიას მოელის დაშლა, გადამწყვეტი თათბირია დანიშნული საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების შესახებ. ძირითად დებულებად მიღებულია ის, რასაც მე, როგორც "მრჩეველი" დიდი ხანია ვამტკიცებ. და რისი თანახმაც არიან ჩხენკელი და სხები. საქართველოს დამოუკიდებლობა და მიწა-წყლის მთლიანობა უზრუნველყოფილია გერმანიის მიერ, ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთს ეძლევა მოქმედების თავისუფლება, და ეწყობა ოსმალოების დახმარებით, სომხებმაც უნდა გამოაცხადონ თავიანთი დამოუკიდებლობა; ამ წუთში მათი უმთავრესი საზრუნავი საგანია გადაარჩინონ მცხოვრებლები ოსმალოების ჩვეულებრივ მოქცევისაგან. ისინი ცდილობენ მოიპოვონ გერმანიის დახმარება და მიზანსაც მიაღწევენ. შემდეგ, იმათაც და ჩვენც შეგვეძლია იმედი ვიქონიოთ, რომ უფრო სამართლიანად გავიმიჯნებით ოსმალეთთან; მაგრამ ეს, ისე, როგორც ამიერ-კავკასიაში ერთი-ერთ განწყობილების დამყარება, მომავლის კითხვაა.

დავწერე სანიმუშო პროექტი საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადებისა – დადგა დრო საქმის ჩამოყალიბებისა და მოქმედებისა.

ჩხენკელმა, ჟორდანიამ, ნიკოლაძემ და ხურგულაძემ მოიწონეს. ჟორდანიამ ეს პროექტი წაიღო ტფილისში, გამოთხოვების დროს ჩვენ განსაკუთრებულის გრძნობიერობით ვართმევდით ერთმანეთს ხელს. მან ძლიერ სერიოზული პიესა უნდა დადგას. საშინელებაა მთელი ეს ტვირთი ყოველგვარი ორგანიზაციებისა, საბჭოებისა და კიდევ უფრო მეტათ საშინელია უტეხი ტყე ცრუმორწმუნეობისა. მაგრამ მან, ეტყობა, უკვე მოამზადა უკანასკნელი აქტი: დარჩენია, მხოლოდ ააწევინოს ფარდა.

**23 მაისი.**

მოღრუბლულ. მეტად ცივ დარების შემდეგ სხივმფენი მზე.

გადავწყვიტეთ, რომ დროებითი შეთანხმება გერმანიასთან, რომელსაც სასწრაფოთ ვამუშავებთ, უნდა იქნეს, როგორც ბრესტ-ლიტოვსკმა პირველათ შემოიღო, ორ ენაზე: გერმანულათ და ქართულათ (უფრო სწორია ვსთქვათ შეთანხმებანი, რადგან იგი რამოდენიმე საბუთს შეიცავს). სხვათა შორის დღეს ვკითხულობთ შეთანხმების პროექტს საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს ნავთსადგურებში მყოფ საბარგო ყველა გემების ტონაჟის დროებითი სარგებლობისათვის გერმანიისადმი გადაცემის შესახებ.

თუ კონტრაგენტს სიამოვნებს, რატომ არ უნდა დავუთმოთ ის, რაც ბუნებაში არც კი არსებობს? როგორია ხელშეკრულება საქართველოს ტონაჟის შესახებ გერმანიასთან!

**24 მაისი.**

სწარმოებს გაცხარებული მუშაობა. მე და ვეხენდოფი ვკითხულობთ საბოლოო პროექტს. ბევრი მიხვდა, რომ სცენის უკან უხმო მუშაობაა და დეკორაციები იცვლება. გვიან

გაგრძელება მე-4 გვ.

**დასაწყისი მე-3 გვ-დან** ღამით ვადგენ შემდეგ დეპეშას, რომელიც იგზავნება ღამით ა. ჩხენკელის ხელმოწერით:

ტფილისი, გენერალ კრესენშტაინს:

"გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს შემდეგი: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კიდევ დაგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ მოხერხდა. დაგვრჩენია ერთად ერთი: ოსმალოების შემოსევას წინ დაუყენოთ დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მხარს დამჭერად ეყოლება გერმანია. მის წარმომადგენლათ საქართველოს მთავრობასთან იქნება გრაფი შულენბურგი, რომელიც საჭიროა დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე იქმნეს ცნობილი... გამზადებულია ხელმოსაწერად რამოდენიმე დროებითი შეთანხმება გერმანიასთან... უცდი ამ აქტის შესახებ უსწრაფეს ცნობას."

ეს დეპეშა გენერალმა ოდიშელიძემ საკუთარი ხელით შიფრით დასწერა. წმინდა გიორგის ჯვრის კავალერი (იამონის ომისათვის), ყოფილი სამხედრო გუბერნატორი სამარყანდის ოლქისა, დასავლეთ ფრონტის რუსეთის ერთ-ერთი ლაშქრის შტაბის უფროსი და სხვა და სხვა.

ხანამდი მიდით, გენერალო! ის კი გახარებულია.

25 მაისი.

კულისების უკანა მუშაობას საჩქაროთ ვათავებთ.

გერმანელები "Minna Horn"-ით ხაღამოს სტოვებენ ბათომს. უკანასკნელ წუთში ტექსტების წასაღებად შემოიარა ფონ-ლოსსოვის ადიუტანტმა. მიევეცით ფულაფური, რაც მზად იყო...

საფერიო." Minna H"-ნი წავიდა – არავინ იცის სად. ჩვენ კი ვიცით. ოღონდ არ დაიგვიანოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ!

გვიან ღამით ჩხენკელთან და ნიკოლაძესთან ვარჩევთ, თუ რა შეგვიწყობს და რა შეგვიშლის ხელს. ტფილისიდან მოვიდა დეპეშა: დამოუკიდებლობა გამოცხადებული იქნება ხვალ, 26 მაისს. კითხვა გატარებულია ყველა ინსტანციებში. მხოლოდ თურქები თხულობენ დავიცადოთ.

26 მაისი, კვირა.

ვწერ ტფილისათვის ზოგიერთი აქტის პროექტს, აგრეთვე წერილს გენერალ ფონ-ლოსსოვისადმი, რომელსაც წაიღებს ფოთში არტურ ლეისტი. დელეგაცია ნელ-ნელა ჰქრება, მაგრამ უნებურად კულისების უკან ნაწარმოები მუშაობა არავის შეუმჩნევია. მგონი ეჭვიც კი არავის შეუტანია, თუ რა მოხდება დღეს და ხვალ.

სუფრაზე ჩვეულებრივი მუსაიფია. ჩემი მეზობელი საქართველოს შეხრდილი გერმანელი-ლიტერატორი ლაპარაკობს რომზე. საუცხოო თემაა, როცა ირგვლივ სტირიან ზოგი ახალციხეზე და ზოგი ალექსანდროპოლზე.

შემდეგ ვმოულობ რამდენიმე წუთს, რომ ზღვის პირას დავისვენო. ვგერ, თვით წყალთან ხალიჩა და ვეპიბ-ფაშას მოუწვევიათ ერთმანეთისაკენ სავარძლები და ნდობითა და დინჯათ რაღაცაზე თათბირობენ.

ზღვა ლურჯია, როგორც არასოდეს. მიხვდები, რომ ირგვლივ მთის ტყეები მწვანეა – მას ფარავს ნახევრად გამჭირვალე ლურჯი ნისლი. ზღვის ღორის დინგი გამოჩნდება და იმალება – რა უდრეკი და რა ხელია იგი! თევზ-ყლაპია (ჩიტი) დასცურავს, ჩაიყურყუმალებს და დიდხანს რჩება იქ. ზღვის პირათ ჯგუფ-ჯგუფათ სეირნობენ კონსტანტინოპოლელი მოხელეები (ახალგაზრდობა, რომელსაც მზა-მზარეული ტანისამოსის მაღაზიების მანეკენების შეხედულება აქვს), ოსმალოელი ოფიცრები, ოსმალურ ტანისამოსში გამოწყობილი გერმანელები, ძველი რეჟიმის მოხელეები რაღაც გულგრილის გამომეტყველებით, მათი ჩასუქებული ქალები და ჩვენი ოფიცრები, რომელთაც არ ეტყობათ, რომ ტყვეობაში არიან.

ახლოს უკრავს მუსიკა რაღაც უგვანო-გულუბრყვილოს; ზევით დაიგუგუნა აეროპლანმა; იალქნიანმა ნავმა მარდათ ჩაუარა ნაპირს.

ასე თუ ისე, როგორც რუსები იტყვიან, ხოლი ხოლით უნდა ამოაგდოთ! ჩვენ თავს დავიფარავთ გერმანელებით ოსმალებისაგან. "ხაფარი" უფრო სიმბოლურია, რადგან გერმანელებს აქ ჯარი არ ჰყავთ; ნატანებში, მაინც შემდგარა გერმანელებისაგან (სამხედრო ტყვეებისაგან) ხადარაჯო მცირე რაზმი. კითხვა იბადება, ქალაქების სიახლოვე და ნადავლის შოვნის იმედი არ შეაცდენს ოსმალოებს?

სხვა გზა არ არის: ჩვენ ვაცხადებთ დამოუკიდებლობას. გერმანია კალთებზე ხტაცებს ოსმალეთს ხელს; სამაგიეროთ, ჩვენგანაც რაიმეს მიიღებს. აზერბაიჯანი ამ ხანათ იქნება ოსმალეთის გავლენის ქვეშ. სომხეთს მიაწვება ოსმალეთი, მაგრამ ამას შეასუსტებს გერმანელების აქ ყოფნა.

საღამოს 9 საათზე მე და ნიკოლაძე გაგვიწვიეს დელეგაციის თავმჯდომარესთან. მოსულა პაკეტი ხალილ-ბეიდან. აუცილებელ მოთხოვნას გვიყენებენ, 72 საათის განმავლობაში უკლებლივ შევასრულოთ 11 მაისს ოსმალეთის მიერ გადმოგზავნილი პირობები. ამასთანავე ოსმალებმა ეხლა მოისურვეს ნახიჩევანის მაზრაც (ერევ. გუბერ.) ე. ი. მთელი რკინის გზა კარსი – ალექსანდროპოლი – ჯულფა.

ამ ულტიმატუმის თავი და თავი შხრი ჩვენმა მუსლიმანებმა დღითვე იცოდნენ. მისი დასაბუთება გაადვილებული იყო თურქების ზოგიერთი ცნობილი წრეების სურვილით: ხალილ-ბეის რომ დაუგდოს კაცმა ყური, მუსლიმანებს ფეხებთ ფეხს ქრიან, არბევენ და ოსმალოებს არ შეუძლიათ ისინი რევოლუციონერებს – აბრაგებს შესაფერად ჩაუგდონ ხელში და სხვა.

ოსმალეთი ისევ იკავებს ახალციხის მაზრას, ძველს მესხეთს; რიონის ვაკის სამხრეთით შემოვლებული მთაგრეხილი, რომელიც მშვენიერად სჩანს მარტვილის მონასტრის სამიტროპოლიტო სახლის აივნიდან, ისევ ხდება ისლამისა და საქართველოს შორის საზღვრათ.

წარმოდგენილია ულტიმატუმი – ჩვენი შეთანხმებანი კი გერმანიასთან ჯერ ხელ მოუწერელია. ვააა!

... მოაქვთ დეპეშები ტფილისიდან. ნატანების ჯარის უფროსი, პოლკოვნიკი კ. გედევანოვს... მაგრამ აი ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის ტელეგრამმა: დღეს შუადღის ხუთ საათზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოაცხადა. მთავრობის თავმჯდომარეთ არჩეულია რამიშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრათ – ჩხენკელი. ამიერ-კავკასიის სეიმმა თავი გაუქმებულათ გამოაცხადა, და ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაპრულდა.

ამ გვარათ, ოთხი საათით ადრე, სანამ ჩვენ ოსმალეთის ულტიმატუმს მივიღებდით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა – უხერხემლო, ვეებერთელა, რბილკანიანი მოისპო.

მაშინვე ვადგენ წერილის ტექსტს ხალილ-ბეისადმი, რომლითაც ვაცნობებ, რომ მისი ულტიმატუმი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართული, შეუძლებელია კუთვნილებისამებრ ჩაბარებული იქნას, ამიერ-კავკასიის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლათ გამოცხადების გამო.

ჩხენკელის კაბინეტში ამ დროს თავს იყრიან ხატისოვი, კაჩაზნუნი, გენ. ოდიშელიძე. კითხვა: „რა მოხდა?" ეხლა არ რჩება უპასუხოთ. ხატისოვი განცვიფრებულია: რა დაემართება ტფილისის ობსერვატორიას, ამიერ-კავკასიის საბჭოთ ინსტიტუტს და ქვეყნის სხვა საერთო დაწესებულებებს? საერთოდ ტფილისში ქართველები უმცირესობას შეადგენენ და სხვა და სხვა.

რა დროს საბჭოთ ინსტიტუტია! ამიერ-კავკასია სამი ერის ფედერაციათ უფრო ადრე გამოაცხადეს, ვიდრე ყოველ ნაწილს ორგანიზაციულად მოაწყობდნენ. მართალია, მრავალმა მიზეზმა გვაიძულა შენობა დაგვეწყო სახურავიდან და არა ბალავერიდან, ახალი პირობები გვაიძულებენ დაუბრუნდეთ დასაწყისს ე. ი. ჯერ მოვაწყოთ, როგორც დამოუკიდებელი ერთეული ცალ-ცალკე საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, რომელთა კავშირით გაერთიანება უნდა მოხდეს პირველ შეძლებისთანავე ე. ი. როგორც კი ოსმალეთი შესწყვეტს დამქსაქსავ ფაქტორის როლის შესრულებას.

რადგან კითხვა ამგვარად გვეყენება, – მაგრამ იგი უკვე დღეს გადაწყდა – ტფილისი, როგორც ყოველთვის ყოფილა, საქართველოს სატახტო ქალაქი იქნება, სომხებს აქვთ ერევანი, თურქები კი, სანამ ბაქოს განთავისუფლებენ, მოეწყობიან განჯაში...

## 1918 წლის 26 მაისიდან – 1921 წლის 25 თებერვლამდე

*ქვეყანამ დაიბრუნა – ბათუმი – ახალციხის მხარე*

*განაიარაღეს – საქართველოში მყოფი საოკუპაციო ჯარი.*

*განდევნეს – დენიკინის თეთრგვარდიელთა მრავალათასიანი არმია. დაიკავეს ქ. ტუაფსე (ნიკოფსია).*

*მოიგერიეს სხვადასხვა მოწინააღმდეგის შემოტევები (თეთრგვარდიელები, დაშნაკები, მუსავატკები). უკლებლივ ყველა ბრძოლაში გაიმარჯვა პირველი ეროვნული გმირის ვალოდია გოგუაძის ჯავშანმატარებელმა.*

*სოჭში ჩატარდა პირველი ეროვნული თვითმმართველობის არჩევნები.*

*გაიხსნა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

*დაიდგა – პირველი ქართული ოპერა "აბესალომ და ეთერი".*

*შემუშავდა – საქართველოს პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული საქართველოს ტერიტორია გაცილებით ვრცელი გახლავთ, ვიდრე საბჭოური, მასზე არცერთი ავტონომიური დანაყოფი არ იყო.*

## დემოკრატიული საქართველოს სამართალმემკვიდრე, – კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება – 1990 წლის 9 აპრილიდან – 1991 წლის 22 დეკემბრამდე.

*დაემხო – საბჭოური სისტემა.*

*გაუროვნულდა – მოსახლეობის "ინტერნაციონალური" საბჭოური ცნობიერება.*

*საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა არმია გამოცხადდა – ოკუპანტად.*

*გაუქმდა – ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქი.*

*საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ არმიას.*

*აღმოფხვრა დასავლეთ საქართველოში მძვინვარი მყუდრობული შარალი.*

*შეიცვალა დასახელებები – ქუჩებს, მოედნებს, რაიონებს, რომლებიც ხალხისა და ღვთის ნების საწინააღ,დეგოდ – საქართველოს მტრებისა და სამშობლოს მოღალატეების სახელებს ატარებდნენ.*

*საქართველო სცნო 30-ზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის – გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ.*

*„მე ვკითხე მას: მტკიცედ დგახარ? ხოლო მან მითხრა მე: –*
*ჩემთვის უმჯობესია მისი ხელიდან სიკვდილი,*
*ვიდრე მასთან კავშირი და ჩემი სულის წარწყმედა".* - **„შუშანიკის წამება", იაკობ ცურტაველი (Vს.).**

*„დამპალა რაღაც ამ დანიის სამეფოში".* - **შექსპირი, „ჰამლეტი"**

# ზვიად გამსახურდია, როგორც ბიოგრაფიული ჟანრის გმირი

## ქართულ პოლიტიკაში

გოგი გაჩეჩილაძე

ისტორიოგრაფია იცნობს პოლიტიკურ პერსონაჟთა ბიოგრაფიული პორტრეტების შედარებითი ანალიზის მეთოდს. ეს მეთოდი აღმოაჩინა „პარალელური ბიოგრაფიების" ავტორმა, ისტორიოგრაფიის მამად წოდებულმა პლუტარქემ, მაგრამ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ბიოგრაფიის გასაღები დევს არა ისტორიული პროცესების კონტექსტში, არამედ თვითგანახლების უნარის მატარებელი კულტურის სისტემაში.

საქმე ის როდია, რომ გამსახურდია, როგორც მოწოდებით და პროფესიით პოლიტიკოსი, ლიტერატურიდან მოვიდა, იყო ქართული ლიტერატურის კლასიკოსის შვილი, არამედ ის, რომ პიროვნულად იყო ქართული კულტურის მენტალური პროდუქტი, არტეფაქტი.

საქართველოს ისტორიაში დარჩა თავგანწირვის მრავალრიცხოვანი მაგალითები, როგორც ქცევის სტერეოტიპები. მათ საკუთარი სიცოცხლე ზვარაკად მიიტანეს სამშობლოსა და პიროვნული ღირსების სამსხვერპლოზე. ისტორიაში ისინი წმინდანების სახელით დარჩნენ.

მაგრამ არც ერთი ისტორიული პერსონაჟის ტრაგედიაში ისე თვალსაჩინოდ არ ირეკლება გამსახურდიას ხვედრის პარალელური ტექსტი, როგორც ეს ვითხება შექსპირის „ჰამლეტის" ტექსტში. არცერთი რეალური ისტორიული პერსონაჟის ხვედრში ისე არ ვითხება ვერაგულად მოკლული მამის გამო შვილისადმი დაკისრებული შურისძიების კოდი, როგორც ეს ვითხება ამ მკვლელობის საიდუმლოებასთან ნაზიარები ჰამლეტის ხვედრში.

მაგრამ პარალელი ჰამლეტსა და ზვიად გამსახურდიას შორის მხოლოდ მათი ბიოგრაფიული დეტალების მსგავსებით არ ამოიწურება. მათ შორის პარალელის საგულისხმო შტრიხია ჰამლეტთან ჯამუშად მიჩაჟინილი სიყმაწვილის მეგობრები, გილდენსტერნი და როზენკრანცი და გამსახურდიას შესახებ კგბ-ში დამსმენი ბევრი თანამებრძოლი. მათ განზრახვას ისევე ხედავდა გამსახურდია, როგორც გილდენსტერნისა და როზენკრანცის მიზანს – ჰამლეტი.

მაგრამ „ჰამლეტის" სიუჟეტსა და გამსახურდიას ბიოგრაფიულ სიუჟეტს შორის მსგავსების ყველაზე მჭერმეტყველური ფიგურა არის მეფედ გამოცხადებული კლავდიუსი, რომელმაც ვერაგულად მოკლა ძმა და ცოლად შეირთო ჰამლეტის დედა. პატივაყრილი დედა არის სამშობლოს სიმბოლო.

შექსპირის ტრაგედიის პირველ ნაწილში კლავდიუსი ჯერჯერობით ჩრდილშია მოქცეული. ის კულისებს მიღმა ხლართავს ინტრიგებს, როგორც შეთქმულების გროსმაისტერი. საქართველოს პოლიტიკური ტრაგედიის სცენაზე ამ როლის შესრულება შევარდნაძეს ხვდა წილად.

მაგრამ მთავარი და არსებითი შტრიხი, რომელშიც ჰამლეტისა და გამსახურდიას ასოციაციური პარალელი ვითხება, არის გაურკვევლობის ბურუსში ჩაძირული დრო. დარღვეულია დროთა კავშირი და მისი შეკვრის მისია, ჰამლეტის ტრაგედიის მსგავსად, იქცა გამსახურდიას ტრაგედიის მიზეზად.

ამ დროს აქვს გლობალური კონტექსტი. რუსეთის იმპერია დაშლის პირასაა. ის, რაც ჩვენთვის მოსალოდნელი და კანონზომიერი იყო, მსოფლიო პოლიტიკის პროტაგონისტებისთვის მოულოდნელი და დამაბნეველი იყო. არადა, ყველაფერი იჯდა ლოგიკისა და კანონზომიერების ჩარჩოში. ეს ესმოდა რუსეთის ინტრაისტორიის მცოდნე ყველა პატიოსან ექსპერტს, დაწყებული გიჟად გამოცხადებული ჩაადაევიდან გათავებული მავზოლეუმში მუმიფიცირებულ ლენინზე ორიენტირებული ინტელექტუალი რუსით.

მეგობრების ვიწრო წრეში გამსახურდია სვამდა მარტივ კითხვებს:

– გააჩნია თუ არა რუსეთს საკუთარი ნაციონალური ინტერესების კონცეფცია?" – არა!

– გაცნობიერებული აქვს თუ არა რუსეთს ტრაგედია, რომელსაც მას მოუტანს საკუთარ ეროვნულ სხეულსა და მისგან დაპყრობილ ტერიტორიებს შორის ასიმეტრიულობა?

პასუხი იყო: თუ რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის აზროვნების სტილს დავაკვირდებით, გაცნობიერებული არა აქვს.

– შეიძლება გლობალიზაციის ფაზაში შესული ცივილიზაციის პირობებში მომავალი ჰქონდეს ქვეყანას, რომლის ეროვნულ სხეულსა და დაპყრობილ სივრცეს შორის უზარმაზარი ვაკუუმი არსებობს, თუნდაც ციმბირის სახით?

პასუხი იყო ერთი: ფიზიკა, ბიოლოგია, ეკონომიკა და პოლიტიკა მოითხოვს ვაკუმის შევსებას. ამ მოთხოვნის წინაშე რუსეთი გამონაკლისი ვერ იქნება.

– რა შეიძლება იყოს ალმავლობის გზაზე შემდგარი 1,5 მილიარდიანი ჩინეთისაგან დაღმავლობის გზაზე მდგომი მეზობელი რუსეთის გადარჩენის შანსი?

პასუხი იყო: როდესაც იმპერიამ, როგორც სივრცის ორგანიზაციის ათასწლეულების მანძილზე მოქმედმა ფორმამ, თავისი შესაძლებლობები ამოწურა, რუსეთის გადარჩენის ერთადერთი გზა არის დეცენტრალიზაცია, სწრაფი გადაარაღება დემოკრატიულ ფასეულობებზე და ორიენტაცია ევროპა-ამერიკაზე.

– შეძლებს რუსეთი ამას?

პასუხი იყო ერთი: იმპერიული მენტალობისაგან განთავისუფლების გარეშე რუსეთი ამას ვერ შეძლებს.

– რა არის საქართველოს სულიერი და პოლიტიკური მისია?

პასუხი იყო ერთი: მიუხედავად საქართველოს მიმართ ვერაგული მოქმედებისა, როგორც აბობოქრებულ ოკეანეში ორიენტირდაკარგულ ხომალდს დელფინი უჩვენებს გზას ნავსადგურისაკენ, ისე საქართველოს მოუხდება გადარჩენის გზის ჩვენება რუსეთისათვის.

არის ამაში ისტორიის ირონიის დიდი დოზა, მაგრამ ბოროტებაზე ბოროტებით პასუხი ყოველთვის ადექვატური იდეოლოგემა არ არის. ასეთი იყო არა მხოლოდ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის, არამედ გლობალური პოლიტიკური სიტუაციის ზვიად გამსახურდიასებული ხედვა. რამდენად უსწრებდა ეს ხედვა დროს და რამდენად იყო იგი წინასწარმეტყველური, სხვა საკითხია. ასეთი იყო გაურკვევლობაში ჩაძირული დრო, რომლის წარსულის, აწმყოსა და მომავლის მოდუსებს შორის სამართლებრივი კავშირის აღდგენის მისიაც პატარა ქვეყნის შვილმა გაბედა.

აზროვნების ამგვარი სტილის მქონე ადამიანს ბრალი რომ დასდეს „პროვინციალურ ფაშიზმში", რუსოფობიაში, საქართველოში მცხოვრები არაქართული დიასპორების იგნორირებაში, ნაციონალური შუღლის გაღვივებაში, ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რისი მოსმენა და უდრტვინველად გადატანა მან შეძლო. ამგვარი უმადურობის გამკლავებაში მისი საყრდენი იყო არა პიროვნული ამბიციები ან საკუთარი მისიის განსაკუთრებულობის განცდა, არამედ შუა საუკუნეების ქრისტიანული დიდაქტიკა. ამ დიდაქტიკის მოდელი მას ზედროულ სახსნაულად მიაჩნდა.

ყველა მოკვდავს მინიჭებული აქვს კეთილისა და ბოროტის გარჩევის მადლი. მხოლოდ ერთ რამეზე სჭირდება მას გონების მოკრეფა. თავის გარშემო მყოფ ადამიანთა მოქმედება მან უნდა შეადაროს მაცხოვრის გარშემო შეკრებილ ადამიანთა მოქმედებას. თუ თავის სოფელს, ქალაქსა და ქვეყანას იგი შეადარებს იერუსალიმს, თავის გარემოცვაში აღმოაჩენს მაცხოვარს და პილატეს, მარიამსა და მარიამ მაგდალინელს, საულსა და ანანიას, ფარისევლებსა და სადუკეველებს – ასეთი იყო ადამიანთა შეფასების გამსახურდიასეული კრიტერიუმი. რაკი იცოდა, რომ ეთიკური და პოლიტიკური კრიტერიუმები ერთმანეთისგან განსხვავდება, იგი ცდილობდა, ადამიანებთან ურთიერთობაში ყოფილიყო უალრესად ეთიკური, პოლიტიკურ ფიგურებთან – კორექტული.

მაგრამ გამსახურდიას ფენომენზე მაქსიმალური წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, მინიმალური წარმოდგენა უნდა გვქონდეს იმ გამოწვევებზე, რომელთა წინაშე ის იდგა, როგორც შუა საუკუნეების ჰაგიოგრაფიული გმირი.

გამსახურდიას წინააღმდეგ ამოქმედდა საბჭოთა კავშირის „კგბ", ეს მონსტრი, თავის განკარგულებაში მყოფი ანალიტიკური ცენტრებით, აგენტურული ქსელით, იდეოლოგიური სამსახურით. ამ სამსახურების საბაზისო იდეოლოგემების სახელი იყო და დღესაც არის კონფორმიზმი. კონიუნქტურულ სიმახინჯესთან შეგუების ფსიქოლოგია, საკუთარი აზრის უქონლობა, მედროვეობა, ნიჰილიზმი, ღირსების გაუფასურება, ერისა და კაცობრიული ფასეულობების ინტელექტუალური ღალატი.

ამ „ეთიკურ სათნოებათა" იდეოლოგიური უზრუნველყოფის მისია საბჭოთა კავშირში დაეკისრა არა პარტიულ ნომენკლატურას, არამედ იმ სოციალურ ფენას, რომლის პროფესიული ფუნქციაც განისაზღვრება აზროვნებისკენ მიდრეკილებით, შემოქმედებითი „დაუინტერესებლობით დაინტერესებულობის" (კანტი) ფენომენით. ასეთ ფენად იქცა საბჭოთა ინტელიგენცია.

შექმნა რა პრივილეგირებული სოციალური ფენა, საბჭოთა კავშირმა ინტელიგენციის დიდი ნაწილი კონფორმიზმის, „ინტელექტუალური ღალატის", სინდისთან გარიგებაში მყოფ კონიუნქტურულ კლერკად აქცია.

არადა, გამსახურდია გამოსული იყო სწორედ ქართული ინტელიგენციის წიაღიდან.

ინტელიგენცია რუსეთის შიდაცხოვრების ნიადაგზე ამოზრდილი რუსული მოვლენაა, ინტელიგენციის ავტორიტეტის საიდუმლოება მომდინარეობდა არა პიროვნული მაგალითის იდეალურობიდან, არამედ ინტელიგენციის წიაღიდან ამოსული ცალკეული პრეცედენტების მითოლოგიზაციიდან. რუსული რეალობის ეს მოდელი დუბლირებულ იქნა რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებში.

რაკი იმპერიის სამსახურში მყოფმა ქართული ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ეროვნულ და კაცობრიულ ფასეულობებზე ორიენტირებული პრეცედენტების ავტორიტეტი მიითვისა, გამსახურდიაში მათ დაინახეს თავიანთი კონფორმიზმის მხილების საფრთხე.

„ბოროტების იმპერიის" წინააღმდეგ ბრძოლაში გამსახურდია ძალიან ცდილობდა დაყრდნობოდა ინტელიგენციას, მაგრამ ამ უკანასკნელს ძალიან უჭირდა არჩევანის გაკეთება თავისუფლებასა და კონფორმიზმს შორის.

გამოიკვეთა დელიკატური სიტუაცია: გამსახურდიამ სცადა ინტელიგენციის ინტელექტუალური რესურსი ჩაეყენებინა ქართველი ერის გამოფხიზლების სამსახურში, იმპერიამ – ამ რესურსის გამოყენება გამსახურდიას წინააღმდეგ.

გაგრძელება მე-6 გვ.

დასაწყისი მე-5 გვ-დან

გამსახურდიას უწოდეს გიჟი, თავზე ხელაღებული, ბოროტების თესლის გამღვივებელი, არაქართველი, მაგრამ „სოგანთა ლოგიის" და არა „ლოგიკაში საგნის" ძალით ქართველმა ხალხმა გამსახურდიაში დაინახა ის ჭეშმარიტება,

რომლის გაცნობიერებით ხორცი შეესხმებოდა ქვეყნის თავისუფლებას. ამ გზით მიაღწია მან 1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმს, რომელმაც თავზარი დასცა მთელ იმპერიულ ნომენკლატურას, საქართველოს დამოუკიდებლობის, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლის მოთხოვნას მხარი დაუჭირა საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ.



გამსახურდიამ აიძულა ხელისუფლება, დაენიშნათ დემოკრატიული არჩევნები, ყოველგვარი ძალადობის, რევოლუციის, სისხლის გარეშე საქართველოში გაიმარჯვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეამ.

გამსახურდია ხმების უმრავლესობით მოვიდა პარლამენტში და 1991 წ. 9 აპრილს ერთხმად აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად.

იდეის გამარჯვების პრობლემა გადაწყდა, მაგრამ დადგა იდეის განხორციელების ჟამი... საქართველოში იდგას რუსეთის ჯარი, პარტიული ნომენკლატურა პრივილეგიების დაკარგვას ვერ ეგუება, საბჭოთა კავშირის დაშლის გარდაუვალობა ევროპა-ამერიკისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა, საქართველოს დე-ფაქტო დამოუკიდებლობა ჯერ არ არის დე-იურედ აღიარებული.

ამასობაში ბელოვეჟსკში რუსეთმა, უკრაინამ და ბელორუსიამ საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოაცხადეს.

საქართველოზე ისედაც გაღიზიანებული რუსეთის აგრესია რომ არ გამოეწვია, საქართველოს უკვე დე-ფაქტო დამოუკიდებლობის გამო გამსახურდიამ დიპლომატიურად აიცილა ამ აქტში მონაწილეობის ვალდებულება. საქართველოს დელეგაცია ბელოვეჟსში მან დამკვირვებლის სტატუსით გააგზავნა.

გამსახურდია არც უტოპისტი იყო, არც რომანტიკოსი, ის იყო ზომიერად პრაგმატიკოსი ვიდრე საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზები იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა მან გარდამავალ პერიოდად გამოაცხადა.

საჭირო იყო რუსეთისგან თავის მშვიდობიანად დაღწევა. არავითარი უტოპიური ილუზიები „სამართლებრივი ნიჰილიზმის" მენტალობით გამსჭვალული რუსეთის მიმართ მას არ ჰქონია, არ ჰქონია ილუზიები არც ელცინის დემოკრატობის მიმართ.

მაგრამ ეს იყო დრო, როდესაც გამსახურდიას ისევე სჭირდებოდა ელცინის მხრივ მხარდაჭერა, როგორც ელცინს – გამსახურდიასი.

1991 წლის აპრილში ელცინი და გამსახურდია ყაზბეგში შეხვდნენ ერთმანეთს. გამსახურდია და ელცინი პრინციპულ საკითხებში შეთანხმდნენ, ელცინი დათანხმდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას. გამსახურდიამ მას პირობა მისცა, რომ რუსეთის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთში მცხოვრები ქართული დიასპორა ხმას მისცემდა ელცინს და არა კომუნისტ გორბაჩოვს.

ტერიტორიულად მთლიანი საქართველოს ახალი ურთიერთობა განახლებულ რუსეთთან – ასეთი იყო გამსახურდიას კონცეპტი, რომელსაც ელცინი დაეთანხმა. ეს ურთიერთობები უნდა გადაწყვეტილიყო არა იმპერიული რუსეთის ვერტიკალური დომინირების, არამედ სუვერენულ საქართველოსთან ჰორიზონტალური ურთიერთობის ჭრილში.

უნდა ვაღიარო, რომ ელცინთან შეხვედრის შემდეგ გამსახურდიას გარკვეული სიმპათიები გაუჩნდა მის მიმართ. მაგრამ მასზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ელცინის გარემოცვამ და განსაკუთრებით, ერთამორის ურთიერთობის საკითხებში ელცინის მრჩეველმა გალინა სტარავოიტოვამ.

ასე იყო თუ ისე, ელცინსა და გამსახურდიას შორის ურთიერთობა შედგა. ისინი შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დროში გაზმეორებით შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრის საორგანიზაციო საკითხებისა და დღის წესრიგის მოგვარების საკითხი ელცინმა სტარავოიტოვას დაავალა, გამსახურდიამ – მე.

ივნისში მე და სტარავოიტოვა ერთმანეთს შევხვდით მოსკოვში. შეხვედრამ გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა. სტარავოიტოვამ წინადადება მომცა მომემზადებინა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედებოდა რუსეთსა და საქართველოს შორის ჩარჩო ხელშეკრულებას. სიტუაციით ყველაფერი კარგად მიდიოდა, საქმით რუსეთის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება ჭიანურდებოდა.

აგვისტოში მოსკოვის პუტჩი დაიწყო. პუტჩამდე ამერიკის პრეზიდენტი ჩამოვიდა მოსკოვში. 17 აგვისტოს ესტუმრა უკრაინას და სრულიად მოულოდნელად უკრაინის დამოუკიდებლობას „ჩიქენ უკრაინ" (უკრაინული კატლეტი) უწოდა.

ამ დროს გამსახურდიას დავალებით მე ამერიკაში ვიყავი მივლინებული, მოსკოვის პუტჩს გამსახურდიამ „გორბაჩოვის შოუ" უწოდა. ამის გამო ბუშმა გამსახურდიას შესახებ განაცხადა, რომ მოსკოვის პუტჩის გამსახურდიასეული შეფასება სასაცილოა, გამსახურდია მიდის მდინარების საპირისპიროდ და დროა, გამოერკვიოს.

გამსახურდია არ იყო ენამოსწრებული, მაგრამ იყო გონებამახვილი.

თეთრი სახლის ეზოში გამართულ პრესკონფერენციაზე ბუშის ნათქვამმა სიტყვებმა თავზარი დაგვცა. ბუშის პოზიცია და ამერიკაზე საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პროექტი, რომელიც 1889 წ. იწინასწარმეტყველა ილია ჭავჭავაძემ, ისე შორდებოდა ერთმანეთს, როგორც ცა და დედამიწა. ბუშის ინტერვიუ „სი-ენ-ენ-ით" გადაიცა. გამსახურდიამ ის მაშინვე მოისმინა.

მე შეშფოთებულმა დავურეკე ზვიადს და ვკითხე, როგორ მოვქცეულიყავი ამ სიტუაციაში. გამსახურდიამ ელვის სისწრაფით მიპასუხა: „მაგათ უთხარი, რომ მდინარებას მკვდარი თევზები მიჰყვებიან-თქო".

ეს იყო საუკუნის ფრაზა. ამ ერთ ფრაზაში იყო აკრეფილი და განზოგადებული ქართველი ხალხის, როგორც ისტორიის ცოცხალი სუბიექტის, მარადიული სწრაფვა თავისუფლებისაკენ.

გამსახურდიას ამ ერთი ფრაზით ფრთაშესხმულმა ვილაპარაკე ამერიკის უშიშროების აზროვნების ბანკში. ჩემთვის მოულოდნელად, ამ ბანკის პრეზიდენტმა მითხრა, რომ ქართველმა ხალხმა უნდა იამაყოს ასეთი პრეზიდენტით. 24 აგვისტოს „ვაშინგტონ პოსტში" დაიბეჭდა ფრენკ გაფნის სტატია, რომელშიც გამოთქმული იყო აზრი, რომ საქართველოს პრეზიდენტი მართალია და ამერიკის პრეზიდენტს არა აქვს ასეთი რადიკალური განცხადებების გაკეთების უფლება.

მაგრამ მოვლენები სრულიად საწინააღმდეგო სცენარით განვითარდა.

გამსახურდია აღმოჩნდა არა საკუთარი, არამედ დასავლეთისა და ამერიკის პოლიტიკური ისტებლიშმენტის მიერ დაშვებული შეცდომების მსხვერპლი.

გამსახურდია ორიენტირებული იყო დასავლეთზე და დახმარებას ელოდა ევროპა-ამერიკისგან.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ ღამეს რუსეთის ჯარმა მშვიდობიანი მიტინგის მონაწილე ქართველების სისხლით დალარა მთავრობის სახლის მიმდებარე ტერიტორია. რუსეთის ჯარის გამხეცების მიზეზი იყო არა იმდენად ქართველების შეუპოვრობა, რამდენადაც მთავრობის სასახლის წინ მდებარე ინტურისტის შენობაზე ამერიკის დროშის აღმართვა.

რუსეთი სამხედრო დაზვერვამ სწორად გაშიფრა ქართველების ამ ჟესტის სიმბოლური მნიშვნელობა, ევროპა-ამერიკა მოუმზადებელი აღმოჩნდა მის აღსაქმელად.

გამსახურდიას ფენომენის გამოუყენებლობით ევროპასა და ამერიკას რამდენიმე წლით გაუსხლტათ ხელიდან მთელ კავკასიასა და წინა აზიაში დემოკრატიული პროცესების ფორსირების შანსი.

საქართველოში ბევრმა არც იცის, რომ შევარდნაძის ეპოქაში აყოტაყის საგნად გადაქცეული ნავთობსადენი მაგისტრალის გაყვანის ინიციატორი იყო ზვიად გამსახურდია. მისი დავალებით, მინისტრთა საბჭოს საგეგმო კომიტეტმა, რომელსაც ომარ ვარძელაშვილი ხელმძღვანელობდა, მოამზადა ამ მაგისტრალის ეკონომიკური პროექტი. ეს პროექტი 1991 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდიას ხელმოწერით დამტკიცდა.

საქართველოსთვის ამ პროექტის პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ დასკვნის წარდგენისას მე აღვნიშნე, რომ ის, რაც უნდა გაკეთდეს, ნიშნავს ილია ჭავჭავაძის მიერ საუკუნის წინ ნაწინასწარმეტყველებ ორ პროგნოზს: 1. „ჩვენ, ქართველები, საჭირონი ვართ არა მხოლოდ ჩვენი თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც". 2. „მსოფლიოს მომავალი მეთაური იქნება არა ევროპა ან რუსეთი, არამედ ამერიკა".

ამინ! – თქვა ზვიადმა და საუბარი რეალობის რეპერტუარის თემაზე გადაიტანა.

## ცხინვალის მხარეში ვითარება მწვავდება

საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ცხინვალის მხარეში დიმიტრი სანაკოევის გაპრეზიდენტებისა და მისი დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელად დანიშვნის შემდეგომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის აგრესია, საქართველოს ხელისუფლების მიმართ დღითი დღე მატულობს. კოკოითი, ხან ცხინვალში შესასვლელ გზებს უხერგავს ცხინვალის მხარის ქართულ მოსახლეობას და ხან ინტენსიური საბრძოლო მოქმედებებით აფრთხობს. მიმდინარეობს მრავალდღიანი სროლები ძარცისის, კეხვის, თამარაშენის და სხვა ქართული სოფლების მიმართულებით. ისვრიან ყუმბარებს, ჩხაჩნებენ სახლებს, კლავენ საქონელს. ჯერჯერობით მოსახლეობის მხრიდან მსხვერპლი არ არის, რადგან მოსახლეობა, სროლების დროს სამალავებში შესვლით იცავს თავს, მაგრამ უმძიმეს ამგვარ ტერორში ცხოვრება. განსაკუთრებით დაშინებული არიან ბავშვები, რომლებსაც მშვიდობა ენატრებათ. რუსეთი კი, თავისი ნაფიცი ემისრის ედუარდ კოკოითის მეშვეობით მუდმივ კონფლიქტებს ქმნის ცხინვალის მხარეში და არ აპირებს დამაბულობის შენელებას.

# პირდაფჩენილი სოფელი ქალაქში

რევაზ ურუშაძე

*„გლეხი კაცი ამოვარდეს*
*საქართველო დაიქცევა" –* ***არჩილი.***

სოფლიდან თვითდევნილ კაცს, რომ დავინახავ ქალაქში მოწყალების სათხოვრად ჩამოსულს ასე მგონია, პიდაფჩენილი დაძრულა მუქთა ლუკმის ჩასაყლაპავად.

რაც ქალაქი გაჩნდა ამ ქვეყნად, სოფელი არჩენდა მას. იქიდან გზავნილი ხორცით, ხილით, ბოსტნეულით და ბაღჩეულით ამარაგებდა. ეს ღვთის განგებით ასე იყო მოწყობილი. ახლა ყველაფერი უკუღმა ხდება.

უერთმანეთოდ ყოფნა ცოდვა და დანაშაულია. სოფლის დაკარგვით სამშობლოს ვკარგავთ. ვცოტავდებით და ვილევით.

თვითდევნილებმა რა მიიღეს კოინდრის ნაცვლად? – ასფალტი. მაცოცხლებელი სუფთა ჰაერის სანაცვლოდ-მხრჩოლავი გაზი. მავანი და მავანი გათავისუფლდა – სინდის-ნამუსისაგან.

რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის, სოფელი არ უნდა ასაზრდოებდეს ქალაქს თავისი შვილებით. ყველა ჩვენთაგანის ფესვი იქიდან მოდის, მაგრამ ყველაფერს თავისი ღვთისმიერი კანონი და ზღვარი აქვს და არავის გამოუტანია ცოდვილი და დანაშაულებრივი სასჯელი, რომ – სოფლები დაიცალოს.

როცა დამნაშავე ხელისუფლების ჟამს ქვეყანა ლატაკდებოდა, ნაცვლად იმისა, რომ იქნებ როგორმე გადავარჩინოთ, რაც შეიძლება მეტი ვხნათ და ვთესოთო. ლამის რუკის „იქითა" ქვეყნებისაკენ გაეშურნენ „მუქთა" ლუკმისათვის. ყველამ კარგად უწყის, რომ ასეთი ლუკმა არსად იშოვება. მას ეწირება, რაც მთავარია ღირსება. ასეთ დროს სოფლიდან გაქცევა – დეზერტირობაა. ბრძოლა ხომ ორფრონტზე შინაურ და გარეშე მტრებთან მიმდინარეობდა.

სოფლად დაჟანგდა გუთანი, ბარი, თოხი და ცული.

პირდაღებული სოფელი ქალაქისაკენ დაიძრა. ვინც დარჩა ვაშა და დიდება მათ! ჯერ კვამლი კიდევ ამოდის ბუხრებიდან.

ქვეყანას მთა და სოფელი, რომ დაეცლება, ერი ყოველგვარ ადათს და ტრადიციას კარგავს. კარგავს, იმას რაც წინაპრებმა ხმლით, გუთნით, სიმღერითა და სისხლით მოიტანეს ჩვენამდე.

დაუჯერებელია, მაგრამ მათხოვრობა და თვითდევნილობა ხელობად იქცა. მოწყალების მაძიებლებში სოფლის მკვიდრნი ჭარბობენ. ქვეყანა ასეთ დღეში რომ ჩავარდნილიყო, – სოფელი და მთა რომ დაცლილიყო საუკუნეების მანძილზე იღწვოდნენ გადამთიელი მომხვდურები. ეს საკითხი ღრმა მეცნიერული კვლევის საგანია. სტატიისათვის კი ზერელედ შეგვიძლია გავიხსენოთ – საცხოვრებელ ადგილებიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება, ვენახების და ბაღების აჩეხვა, სხვათა ენებზე ლოცვის დაწესება.

სოფლების დაქცევაში განსაკუთრებული წვლილი საბჭოურ რეჟიმს, – ბოლშევიკებს მიუძღვით. რასაც თავისებური შეფარული იდეოლოგიაც უწყობდა ხელს. მარტო ერთი მაგალითიც კმარა, – გავიხსენოთ თუნდაც კინო-ფილმი „ისინი ჩმოვიდნენ მთიდან" რა თქმა უნდა მისი მავნე მხარე ალბათ ფილმის შემქმნელებსაც კი არ ჰქონიათ გათვითცნობიერებული, მაგრამ ხელისუფლების მიზანდასახულობის თანხვედრი გახლდათ. რაღა შორის წავიდეთ თბილისის საქალაქო საბჭომ განცხადებით მიმართა საქართველოს მოსახლეობას რომ დედაქალაქის ტრანსპორტზე მძღოლების ნაკლებობას განვიცდით. ჩამოდით ოღონდ და საცხოვრებელი ბინები ჩვენზე იყოსო. ეს იყო სულ ახლახან ოთხმოციან წლებში;

ჩემს სახლში, როგორც სხვაგან, ხშირად არ მუშაობს ლიფტი, მაგრამ იგი მოწყალების მთხოვნელთ სულ არ აწუხებთ. დადიან სართულ-სართულ და ყველაფერს ითხოვენ, ლუკმა პურიდან დაწყებული სათამაშო თოჯინით დამთავრებული. ასეთ მაღალ სართულებზე მშივრებს გაუჭირდებოდათ ასვლა-ჩამოსვლა. კი, ბატონო, გაჭირვებაა, მაგრამ...



უფასო სასადილოები ხომ არის. ერთხელ დანაყრდნენ დღეში. ეს რაღაცნაირ შეღავათს ხომ მისცემს მაინც.

ჩვენი ქუჩის მათხოვარს დღის ბოლოს „მერსედესი" აკითხავს.

ერთხელ, როცა ჩემს მეუღლეს ოქროს სამკაულები მიჰქონდა ლომბარდში დასაგირავებლად ჩვენი ქუჩის მათხოვარმა უთხრა, თუ გაყიდვა დააპირო შემატყობინეო. ეს ქალბატონი სოფლიდანაა.

„დეზერტირების" ბაზარში ერთი ჯანიანი კაცი ამედევნა, სურსათს მიგიტან მანქანამდეო. ორიოდ კილოგრამი კარტოფილი მქონდა ჩანთაში. ასეთ მომსახურებას ჩვეული არ ვიყავი, გამოველაპარაკე – ლანჩხუთელი აღმოჩნდა.

– აქ, რას აკეთებთ?

– თქვენისთანა კაი მუშტარი, რომ რამეს იყიდის, მანქანამდე მიუტან, ერთ-ორ ლარს ვშოულობ.

– მარტო ხართ ჩამოსული?

– არა, მეუღლესთან ერთად. იგი ხაჭაპურებს აცხობს და ყიდის. ასე ვირჩენთ თავს.

– ბინად სად ხართ?

– პატარა ოთახი გვაქვს ნაქირავები.

– კი მარა სოფლად არ გირჩევნიათ, საკუთარ ეზო-მიდამოში,

– ა, მაი არ მითხრა, თუ რამე მყავდა, – ძროხა, თხაი, ღორი თუ გოჭი ყველა მომპარეს.

მასთან დიალოგით მეტს არ შევაწუხებთ.

თვითდევნილთა უმეტესობამ ღირსება სადღაც ორღობეში ჩატოვა. ზოგიერთმა ქალაქელ მძღოლს გამოსტაცა საჭე და ლუკმაპური. ე. წ. „ელიავას" ბაზრის წინ თაღლითობით არმეთვენ ხელობას სხვადასხვა სახის ქალაქელ ხელოსანს.

არად დაგიდევეთ სად ათევენ ღამეს, საკუთარი დარბაზების მიმტოვებლები. ერთ მათგანს წავაწყდი „ტრაბახობდა" ცოლი მარჩენს, საბერძნეთიდან ყოველთვიურად სამას დოლარს მიგზავნისო. ალბათ არასოდეს დაინტერესებულა რა გზით შოულობდა ამ ფულს, მისი შორეული, მხოლოდ საბუთით არსებული მეუღლე.

ბაზარში ნამდვილ გლეხკაცს ვეღარ ნახავთ, მას სოფლიდან გაქალაქებულები ანუ გადამყიდველები, ახლა „მოფერებით" გარეგამყიდველებს, რომ ეძახიან გზაში ან საცხოვრებელ ადგილებზე იაფად არმეთვენ ჭირნახულს და შემდეგ ზედმეტ ფასებში ყიდიან. ასე წარმოიქმნა ახალი დროის კინტო.

საშინელი სანახავია, მაგრამ უცხოეთში ცოლებისა და ქალიშვილების „მიმავლინებელი" მამაკაცები ნარდსა და დომინოს უჭახუნებენ დილიდან საღამომდე და უკმარობაზე წუწუნებენ. ნუთუ მათ არ უწყიან რომ, არავინ მოძებნით და პირში ლუკმას არ ჩაუდებს.

სოფელს გამოქცეულნი ასე ურცხვად არ უნდა წუწუნებდნენ. საქართველოს მიწაწყალზე კაცს არ უნდა შიოდეს. ხელშეწყობა არ გვაქვსო. რატომ უნდა იყო სხვისი მოიმედე.

ისე, სულოცოდვილო ხანდახან გვარჯილა და საწვავიც კი ჩამოარიგეს უფასოდ. სამი ჩინელი ჩასახლდა მცხეთის ერთ-ერთ სოფელში და სხვისი „ხელშეწყობის" გარეშე სამი მოსავალი მიიღეს წელიწადში. სხვათაშორის განვადებით სესხსაც იძლევიან ბანკები. აგერ დიდუბის გამოფენაზე უახლესი უცხოური მარკის სახნავ სათესი სამეურნეო ტექნიკაა გასაყიდად გამოტანილი, პირობებიც ხელსაყრელი. იყიდება შეიდი წლის განვადებით, პირველი შესატანი 15%-ია. რაღაც მყიდველთა რიგს ვერ ვამჩნევ.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი დიდი ქალაქია, თვალში საცემია სოფლიდან თვითდევნილთა პირღია უქნარა.

ნუთუ მამლის ყივილი, სოფლის ალიონი, კოინდრიანი ეზოები, თავიანთი წამოჭიმული სასახლეები არ მოენატრათ ნაქირავებ საკუჭანაოებში შეხიზნულთ?!

ღმერთო, სოფლისკენ მიახედე გზააბნეულნი.

# ქართული სულიერების უბადლო რაინდი

(იბეჭდება შემოკლებით)

თამაზ ფიფია

სულიერება ის უმთავრესია, რითაც ერწყმის ადამიანი ღვთაებრივს და ამდენად – მარადიულს. თანაც, სულიერება საამქვეყნო არსობის ნიათია, – ყოფიერების სანთელი, წყვდიადიდან სინათლის ჩქეროლისკენ გზის გამკვლევი.

ქართული სულიერება ათასწლეულების სიღრმეებიდან მოედინება, – გამოიარა ისტორიის ქარტეხილები, ორწოხები და ხამანები, ძნელბედობის წავარნებით გადაიარა საუკუნეთა ულელტეხილები და გამოაღწია დღევანდელობამდე, საძირკვლად დაუდო ერის მომავალს. ქართული სულიერება იყო და არის ქართველი კაცის გაუბზარავი დედბუნებოვნება, მის კეთილშობილურ გულში დავანებული შემართება მამულის საკეთილდღეოდ, ნაზიარები ვაჟკაცური სულის უკვდავების რწმენასთან. სწორედ მათი ერთიანობა ქმნის – ქართული სულის სიდიადეს.

ქართულ სულიერებაზე როცა ვწერთ, უწინარესად იმას ვგულისხმობთ, რითაც თავი მოუწონებია ქართველს საუკუნეების მანძილზე, – ღვთისნიერობას, კეთილის ქმნის უნარს, მომხიბვლელ გულისხმიერებას საერთოდ ადამიანის მიმართ, სიცოცხლით ლაღობას, სიმამაცესა და გამჭრიახობას მოქმედებაში, თავდადებულ სიყვარულს მამულისადმი; ასევე, სხვა მრავალი კეთილი თვისება შეგვიძლია ჩამოვწეროთ ეპითეტად, რომელთა ცენტრში დგას პიროვნება, ქართველი კაცი. ცხადია, ჩვენში ახლა ასეთი დიდებული თვისებებით მხოლოდ ერთეულები არიან შემკულნი, ახლა ერთეულებიდა პასუხობენ მამულიშვილურ მოთხოვნებს, ერთეულებიდა დარჩნენ ისეთ ქართველებად, რომლებიც, ცნობილი გამოთქმა რომ მოვიშველიოთ, ჯერ არ შემჯდარან ძველ, ჩინებულ ბედაურებზე და იმ უერთგულეს ცხენებთან ერთად არ გაქცეულან წარსულში... საბედნიეროდ, სწორედ ეს ერთეული პიროვნებები მაინც გვიქმნიან წარმოდგენას როგორი იყვნენ ჩვენი საუკეთესო წინაპრები, რომელთა შეშვეობით დღესაც ქართველი გვქვიან და თავიც მოგვწონს თვისტომთა ღირსეული შეობით. დღევანდელობამ ამისი დასტური მერაბ კოსტავას პიროვნებით მოგვცა: ერთეულ ღირსეულთა შორის გამორჩეულად მამულიშვილური თვისებებით, ხიბლითა და ნათელით ჩვენს თვალწინვე შეიმოსა იგი. "ძე ქართმხლისა", როგორც საყრმის მეგობარმა და თანამებრძოლმა, ასევე უდიდესი ღირსებებით გამორჩეულმა ქართველმა, ზვიად გამსახურდიამ უწოდა.

მერაბ კოსტავას ფენომენი მრავალმხრივ განსჯას საჭიროებს და ეს ჯერაც მომავლის საქმეა. ჩვენ კი გვსურს მხოლოდ ზოგად შტრიხებში წარმოვადგინოთ პიროვნება, რომელმაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს უახლოეს ისტორიაზე.

ასე ყოფილა: დროის გარკვეულ პერიოდში, ერში ჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომელთა სახელებთანაც ასოცირდება ისტორიული პროცესები, სამარადჟამოდ რომ აღიბეჭდება ერის ცნობიერებაში, თვით ეს ადამიანები კი ერის მარადიული თანამგზავრები ხდებიან. დრო და ისტორია თანდათან აკონკრეტებს ვის რა ღვაწლი მიუძღვის ამა თუ იმ ეპოქალურ მოვლენებში და ვნებების დაცხრომის შემდეგ მსაჯულადაც გვევლინება. ვნებები ჯერაც არ დამცხრალა, მაგრამ დასკვნების გაკეთება თანამედროვეთ აუცილებლად მართებთ. ამიტომაც მივიჩნევთ ამას ჩვენს მოვალეობადაც.

XX საუკუნეში ბევრი დიდი ქართველი მოღვაწეობდა საქართველოში, მათი ნაღვაწით დგას ფეხზე ჩვენი ქვეყანა, თორემ იმდენი ულირსიც ეხვია, რომ შესაძლო იყო უფრო მტკივნეულად წაქცეულიყო და კიდევ უფრო გასჭირვებოდა ფეხზე დადგომა. ყოველ შემთხვევაში, დღესაც თუ ფეხზე მყარად ვერ დგას და აუადმყოფურად ყანყალებს, იმ დიდ ქართველთადმი მაინც მადლიერების გრძნობით უნდა გვქონდეს გული ავსილი.

ილიამ, ვაჟამ, აკაკიმ ქვაკუთხედი დაუდო გასული ორი საუკუნის ქართველობის სულიერებას, გალაკტიონმა უფრო დააახლოვა ეს სულიერება ღმერთთან, გრანელმა ქართველი ცივ მარადისობაში ჩაახედა და აღაზევა ღვთაებრივის შესაცნობად, დოსტაქმა კონსტანტინემ რაინდული სული დაუბრუნა საქართველოს, პაოლომ, ტიციანმა და მიხეილ ჯავახიშვილმა სათქმელის უკომპრომისობის სიდიადე დაანახვა განჯგონებულ თანამემამულეებს... იყვნენ სხვა გმირები და რაინდები, მებრძოლნი სულიერების განსამტკიცებლად, რასაც მოჰყვა ზვიადისა და მერაბის ძალისხმევა. მათ, თანამზრახველებთან ერთად, შეუძლებელი შეძლეს – ბოროტების იმპერია გამოიწვიეს დუელში. მათმა შეუპოვრობამ წარმოუდგენელი შედეგი მოიტანა (ცხადია, ხელსაყრელ გარემოებათა გამოც, რის შექმნაშიც უდიდესი წვლილი მიუძღოდათ) – ქართველობა თავისუფლებას კვლავ ეზიარა. ქართველი კაცისთვის ასეთი გამარჯვება თითზე ჩამოსათვლელი თუ იქნება მთელი ისტორიის მანძილზე. დემოკრატიული ღირსებების დამკვიდრებით კი ეს იყო უპრეცენდენტო მოვლენა.



***

ქართველი ხალხის წარმოსახვაში ვაჟკაცი წყნარი უნდა იყოს, მაგრამ გასაჭირის ჟამს მჭექარე, შეუდრეკელს "გული უგავდეს რკინასა". არ უნდა გაიწეროს სხვათა ჭკუისამებრ, სიტყვის გაუტეხლობა, ულალატობა ბუნებრივ თვისებებად უნდა ამკობდეს. რაც მთავარია, უშიში, მტერთან მებრძოლი უნდა იყოს, მოყვრებისადმი კი – სიკეთით სავსე; რაგინდ ძლიერიც იყოს, უსამართლობას წინ უნდა აღუდგეს, თავის ბიჭობას არ უნდა იკვეხნიდეს! ჯავრი არ უნდა მიუშვას გულზედ, რადგან ჯავრი ჯანსა და ღონეს გამოაცლის, სიკვდილი არ უნდა აშინებდეს! ეს უმთავრესი რამ არის ვაჟკაცისთვის, რადგან სიკვდილთან მიმართებაში ჩანს კაცის რაობა.

სამშობლოსათვის სიკვდილის ბედნიერებას უნდა გრძნობდეს!

სწორედ ასეთი იყო მერაბ კოსტავა!

ის წინაპარი როგორიღა იყო მერაბ კოსტავა რომ ეთაყვანებოდა და ჩვენც ვეთაყვანებით?

ჩვენი მითოლოგიიდან ასეთია ამირანი, შემდგომში ბერძნულ მითში პრომეთესად ქცეული, დევებთან მებრძოლი ქართველი გმირი, ადამიანებისადმი ცეცხლის მომტანი, იმდენად ძალმოსილი, რომ ღმერთთანაც ისურვა შეჭიდება (ეს უკანასკნელი ეპიზოდი უთუოდ წარმართი ქართველი კაცის უსაზღვრო ფანტაზიამ მიუმატა მითს). ასეთები არიან: ლეგენდარული აიეტი, სამშობლოსათვის თავდადებული აფსირტე, უდიდესი მკურნალი მედეა, რაც ასოცირდება ჯადოსნურ ცოდნასთან, ფარნავაზი, საქართველოს ერთ ქვეყნად ჩამომყალიბებელი და ქართული მწიგნობრობის გამავრცელებელი, ფარსმან ქველი, რომელსაც რომში ძეგლს უდგამენ, მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, ქრისტიანობის დამფუძნებლები საქართველოში, ქართველთათვის სწორი გზის მაჩვენებელი კოლხი ფარტაზი, საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ მესამე, მისი სწორუპოვარი მხედარი იოანე მარუშიძე, დავით აღმაშენებელი – მეფე-მლედელმთავარი იოანე, რომელმაც დიდგორის ომში გამარჯვებით მთელ ევროპას სარკინოზთაგან შებორკილი ხელები გაუხსნა, თამარ მეფე, მშვენება და დიდება საქართველოსი, ცოტნე დადიანი, მეგობრობის სიმბოლოდ ქცეული, კოლხი გმირი რაინდი, დემეტრე თავდადებული, თავის ქვეყანას საკუთარი ნებითვე ზვარაკად შეწირული... ისინი, მეფენი და დიდგვაროვანნი, სწორუპოვარ პიროვნებებად დარჩნენ საქართველოს ისტორიაში... იყვნენ უსახელონიც – 200 გმირი დიდგორში, 300 გმირი კრწანისში, ასევე უსახელო კოლხი, რომელმაც სპარსთა ჯარს გზა აუბნია არქეოპოლისთან და თანამოძმეებს გაამარჯვებინა. დიდი ქართველები იყვნენ ბერი თევდორე, 9 ძმა ხერხეულიძე, სხვანი და სხვანი, მრავალნი, რომელთა სულიერი ნიათის უშუალო მემკვიდრეა მერაბ კოსტავა. მან საკუთარ არსში გაანივთა ყოველი საუკეთესო ეროვნული მეობისა, რაც ზემოთჩამოთვლილ თვისებებს, უწინარესად კი გამჭრიახობასა და სიმამაცეს ეფუძნებოდა. დიდ წინაპართა მსგავსად, მერაბს უფლისგან ჰქონდა მომადლებული ახოვანება და მხნეობა, ხაფი ბუბუნა, მკვეთრად მამაკაცური ხმოვანება. თვითონ ბევრჯერ მინახავს გამოსვლებისას როგორ კვესავდნენ მისი თვალები, იმპერიული აზროვნების წინააღმდეგ როგორ ხაზავდა წრეებს მისი მტკიცედ შეკუმშული, ზეაღმართული მუშტები. აი, როგორ იხსენებენ მიტინგებზე მის გამოსვლებს:

მერაბ კოსტავა გამოსვლას იწყებდა სიტყვით: „მამულიშვილნო!" ამ სიტყვის მერაბისეულ წარმოთქმაში იყო ხასიათის ულრეკლობა და უდიდესი სითბო თავისი საფიცარი სამშობლოს მამულიშვილების მიმართ. ყოველთვის ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ მერაბის გულის სიღრმიდან ამოვარდნილ ამ სიტყვას უზარმაზარი ბრინჯაოს ზარის რეკვის მსგავსი ზრიალიც ამოსდევდა."

სავსებით ვეთანხმები მერაბის ერთ-ერთი ბიოგრაფის გოგიტა მელიქიძის ამ სიტყვებს და დავუმატებ, რომ სიწრფელე, ალალმართლობა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული მოსჩქებდა მისი სიტყვებიდან. ამიტომაც იყო იგი განსაკუთრებით ძვირფასი და ახლობელი თავისუფლებისაკენ მსწრაფი ქართველისთვის.

სწორედ ასეთი უნდა იყოს ეროვნული გმირი და სწორედ ასეთი იყო მერაბ კოსტავა!

იგი ქართული სულის ძალმოსილებისა და სათნოების გამონათებაა. სწორედ ასეთ ადამიანზე ითქმის: სულ-კურთხეულიაო!

კიდევ ერთ ამონარიდს ვუხმობთ თანამედროვეთა ნააზრევიდან:

მწერალი, პუბლიცისტი გია მამალაძე წერს:

"მერაბ კოსტავა იყო ქართველი კაცის ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი სილამაზის განსახიერება. ისტორიაში შევა, როგორც სიმბოლო გაუტეხელი ქართველი ვაჟკაცისა, როგორც თავგანწირული მეომარი, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპოქაში თუ იცხოვრებდა, აუცილებლად დიდგორის ველზე დაიღუპებოდა."

***

მერაბ კოსტავათი ახალი ერა, ახალი ისტორიული პერიოდი იწყება საქართველოსთვის, – ეროვნული თვითმყვარეობითა და თავისთავადობით დამუხტული, სამართლიანობისკენ მსწრაფი, თავისუფლებისკენ სიტყვითა და საქმით მომწოდებელი, თავისუფლების მოსაპოვებლად აზვირთებული.

მერაბ კოსტავა იყო ჭეშმარიტი ვაჟკაცი, გულმართალი, კეთილშობილი, უშიშარი რაინდი საქართველოსი. მისადმი ერთხელ მოსმენაც საკმარისი იყო გეგრძნო ძალა და ხიბლი პატრიოტისა. არც სიცოცხლეში და არც სიკვდილის შემდეგ მას ქებადიდება არ დაჰკლებია, მაგრამ ჯერაც არ თქმულა ის სიტყვა, რაც ამ ქედუხრელ, მუდამ შემართულ მამულიშვილს თავისი ერისგან ეკუთვნის. მერაბი უნიკალური, განსაკუთრებული

გაგრძელება მე-11 გვ.

# „პარიზული მისტიკა და კოლხური თოვლის იდუმალება“

## რეზო ადამიას ნახატების მორიგი გამოფენა

რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზში, მოეწყო ქართველი მხატვრის, ჩვენი დროის შესანიშნავი შემოქმედის, ხატმწერისა და პუბლიცისტის, პარიზის ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის მუდმივი წევრის, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის, რაინდის წოდების, საზოგადო მოღვაწის ბ-ნ რეზო (ემელიანე) ადამიას ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა-პრეზენტაცია; აქ იყვნენ: – მეუფე ამბროსი ქათამაძე, ო. იოსელიანი, გ. ცერცვაძე, ლ. გიორგობიანი, მ. გონაშვილი, კ. ჩოლოყაშვილი, ი. ბაგრატიონი-მუხრანელი, ნ. ჯიქია, ზ. ქაფიანიძე, გ. კალანდია, ჯ. ჯანელიძე, თ. ლორთქიფანიძე, მ. აბშილავა, ქ. ახვლედიანი, რ. გოცირიძე, დ. ტაკიძე, ვ. ეგრისელი, ს. სიგუა, ჯ. მონიავა, თ. ქორიძე, მ. მაჩაიძე, გ. აბაშიძე, ს. ლებანიძე, გ. ჭელიძე და სხვები.



მათ, თავიანთ გამოსვლებში, კიდევ ერთხელ, მაღალი შეფასება მისცეს ბ-ნ რეზოს შემოქმედებას, ისაუბრეს მის ხელწერაზე, ხატვის მანერაზე, სტილსა და მკვეთრი ინდივიდუალობაზე, თვითმყოფად ფერთა შეხამების შეუდარებელ ოსტატობაზე; იმ ადამიანურ კეთილშობილებაზე. რომლითაც მას მალევე გამოარჩევ სხვათაგან;

მნახველებმა ყურადღება გაამახვილეს მის შესანიშნავ პუბლიცისტურ წერილებსა თუ ესეებზე, რომლებსაც იგი დრო და დრო აქვეყნებს პრესის ფურცლებზე; კერძოდ, მან ესეები მიუძღვნა ვან გოგს, მოდილიანს, ხუან მიროს, ხაიმ სუტინს, ვასილ კანდინსკის, გალაკტიონს, ტერენტი გრანელს. მის კალამს ეკუთვნის, ასევე ნარკვევები ნოტრდამზე, მონმარტზე, არისტიდ მაიოლის „ფლორაზე“-ზე, ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ მარადიულობაზე, სხვა მოღვაწეებსა თუ მათ გენიალურ ქმნილებებზე, არ გამორჩენიათ ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც, რომ ბატონ რეზოს, საფრანგეთში 8-წლიანი შემოქმედებითი მუშაობის განმავლობაში, მრავალი პერსონალური გამოფენა აქვს მოწყობილი, როგორც პარიზში, ასევე საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც (მარსელში, შერბურგში, კარტერესა და პორტბაილში);

პარიზში, ნოტრადამთან ახლოს, არსებობს უძველესი ბიბლიოთეკა, რომელიც თარიღდება მე-18 საუკუნით; ეს უნიკალური არქიტექტურის ნიმუში მე-12 საუკუნიდან წარმოადგენდა საეკლესიო სასტუმროს. ამ ისტორიული და ეროვნული ღირსების მქონე ცენტრის ამსახველი მუზეუმი შენობის მეორე სართულზეა განთავსებული, სადაც ინახება სხვადასხვა ეპოქების უძვირფასესი ექსპონატები და მაღალმხატვრული დონის, ფერწერისა და ქანდაკების ნიმუშები. 2002 წლის შემოდგომაზე, ბატონ რეზოს უმუშავია ამ ულამაზესი არქიტექტურის მოტივის შემოდგომის სურათზე; როგორც სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, ბატონი დავით თოთიბაძე-შალიკაშვილი გვიყვება. ეს ნახატი ძალიან მოსწონებიათ ბიბლიოთეკის მესვეურთ. დანიშნულ დღეს გაუტანიათ კიდეც კომპეტენტური კომისიისთვის, რომელთაც მაღალი შეფასების შემდეგ, შეუძენიათ ნახატი მუზეუმისთვის და სამუზეუმო ექსპოზიციაშიც შეუტანიათ, რაც თავისთავად უკვე მრავლის მთქმელია. ხოლო ის, რომ მხატვრის ბევრი ნამუშევარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების კოლექციონერებთან ინახება, დიდი ხანია ჩვენთვის ცნობილია.



*ლ. ჭოლოშვილი,*
*მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ლიტერატურული სტუდიის გამგე.*

# პრეზიდენტი მარადი...

## მარეხ ბაღიშვილი



კოლხურ კოშკში ფორიაქობს მშობელი,
სიტყვის ოსტატს პრეზიდენტი ეახლა,
სიყრმიდანვე მონსტრთან შერკინებული,
სამშობლო რომ თავისუფლად ენახა.
მონაპოვარს ყვავ-ყორანი ეხევა...
ვაჟკაცთ სისხლი ფსოუს საზღვარს გასდევს,
აფხაზეთის გზას მიჰყვები ტანჯული,
მხრებზე ქრისტეს მძიმე ჯვარი გადევს...
კვალში გიდგას ბოროტება... გესროლეს...
არ გაღირსეს მშობლიური მიწანი,
დედოზარი შემოჰკარით ქართველნო,
მერამდენედ იმარხება წმინდანი...
...წილნაყარი გახდი უკვდავებისა,
ანგელოსნი გიგალობენ, მღერიან,
ქართველის დედა გეგებება ამაყად,
მთაწმინდაზე ღირსეულად გხვდებიან.
ცალად დარჩა სასაფლაო ჯოჰარის,
მტრად ორივეს რუსი გყავდათ ვერაგი,
ბზობის წმინდა დღეს გილოცავს მწუხარე,
თოთხმეტი წლის მომლოდინე მერაბი.
ნათელი გზა, მცხეთისაკენ მავალი,
მაცხოვარმა გიკურთხა და გარჩენა,
სანთლებს გინთებს სვეტიცხოვლის ტაძარში.
არსაკიძის მოკვეთილი მარჯვენა.
დაცხრილული მოგეგება ილია,
ნათელში დგას, სადღა არის წყვდიადი,
როგორც იქნა ქართულ მიწას ჩაეკარ,
მამულისთვის განწირული ზვიადი.
ვის ეღირსა, ან კი ვის ეღირსება.
ეს ზღვა ხალხი, ზღვად მდუღვარე ცრემლები,
მოწყენილი ძირს დაეშვნენ მაღლიდან,
კუბოს თავზე ჩამოგისხდნენ მტრედები.
თავისუფალ ქვეყნისთვის მუხლს ვიდრეკენ,
თავდადებულს თაყვანს გცემენ ნორჩები,
მიგაცილებს უსაშველო გოდება,
თავდახრილი შვინდისფერი დროშები.
ჯიხაშკარი - წიწამური წყეული...
მიწიერი ქრისტეს სისხლი ილვრება...
შენ სამშობლო ღმერთის დარად იწამე,
და უფალმაც შენთან შეყრა ინება.
მოგკლეს... მაგრამ წმინდანნი არ კვდებიან,
შავი რაშის ისევ ისმის ჭიხვინი,
თავზე გადგას შენი ერის ზღაპრული,
საოცარი სიყვარულის გვირგვინი.
დღეს გაგათბობს ცივ მხარეში გათოშილს.
საფიცარი მშობელ მიწის ნაბადი,
საქართველოვ, დაუჩოქე, - მობრძანდება,
საქართველოს პრეზიდენტი მარადი.

# ნოდარ ჯალაღონია



## თუ სისხლმა ალარ იყივლა, თუ გული არ ჩაერია

სწავლის და ცოდნის ძიებას, გავიხარია, ფასი აქვს,
რომ მოიარო ევროპა, ამერიკა და აზია.

მაგრამ, ოქსფორდი, კემბრიჯი, ჰარვარდიც
არაფერია,
თუ სისხლმა ალარ იყივლა, თუ გული არ ჩაერია.

თუკი მამულის ტკივილი არ გაწუხებს და
გაწვალებს,
შენი სამშობლოს სიყვარულს მარტო წიგნი ვერ
გასწავლის.

თუ უცხო ცათა შემყურემ სამშობლოს ცა არ ინატრე,
თუ შენი ქვეყნის ხატება სულში არ
დაასხივებს ...
დაამინადრე,

თუ არ დათვრები სამშობლოს ოცნებითა და ფერებით,
თუ გელათის და ყინწვისის ფრესკებს არ
მოეფერები.

თუ არ მოგესმა ხანდახან ყურა ალგეთის ლექსების,
არ მოგენატრა წინანდლის ვარდი კი არა ეკლებიც,

თუ შენი გული და ფიქრი კრწანისმა ალარ დანაღმა,
თუ არ მოგინდა დიდგორის და ბასიანის დანახვა.

თუ ენამ რუსთაველისამ შენი სათქმელი არა თქვა,
თუ ალარ გაგიდიდებულდა იმ 9 ძმამ და იმ მარაბდამ.

თუ გულს ჭრილობად არ დარჩა იმ 9 აპრილის
იარაც,
თუკი "შავლეგოს" სიმღერამ ძარღვებში არ
გაგიარა,

ამაო არის ყოველი, სწავლა, გარჯა და წვალება,
მამულზე ფიქრი მარტოდენ, წიგნებით არ
ისწავლება.

უნდა შენს ხალხთან ილხინო, უნდა შენს ხალხთან
იწვალო
და სიყვარული სამშობლოს შენი ხალხისგან ისწავლო.

***

ველარ ვხედავ სიხარულის მიზეზს,
ჩემი ტაო-კლარჯეთი რომ მიმზერს.

ვერ მოვცდები ვარსკვლავების ძებნით,
საძებნი მაქვს წინაპართა ძვლები.

სხვის ტკივილზე აბა მე რა მეთქმის,
როცა მტკივა ჩემი აფხაზეთი.

## პოეზია

ან რას მარგებს მე პარიზის ხილვა,
როცა მტერი აგერ მართმევს ცხინვალს.

ანდა, დარდი, როგორ მოვიცილო,
როცა ვიღაც ჩვენს დაყოფას ცდილობს.

ის ვინც შოუს და გართობას ნატრობს,
აქვს უფლება ოცნებები ფანტოს.

მე კი ჩემი საქართველოს პატრონს,
მასზე ფიქრის უფლება მაქვს მარტო.

***

მე თუ გავჩუმდი, შენ თუ გაჩუმდი,
თუ დავბრმავდებით, თუ დავყრუვდებით,
დავითისა და შოთას ქვეყანა
იქცევა ქვეყნად ფაჩალ-ჭურდების.

მე თუ არა ვთქვი, შენ თუ არა თქვი,
მე თუ არ ვნახე, შენ თუ არ ნახე,
ვინ, ვინ დაიცავს, უპატრონებს ვინ,
საქართველოს და ქართველის სახელს.

რა, რა იქნება, ან დღეს და ან ხვალ,
გავაჯეჯილებთ თუ ბევრი აქ სხვა,
არ ამოვიღეთ არც ხმალი არც ხმა,
თუ ერმა თავის სათქმელი არ სთქვა.

## არ შეიფარებს სამშობლო
ხალხური კილოზე

სადგლავში წოლა ჯობია
სირცხვილის ლაფში წოლასა,
ერთხელ კაცური სიკვდილი,
სულ მუდამ შიშს და ძრწოლასა.
არ შეიფარებს სამშობლო
არც ეპოლეტის მონასა,
ვინც გადაჰყვება ჩინ-მედლებს
და მუცლის ამოყორასა...
ვინც წინაპრების დიდ სახელს
შეაჭმევს ფვავს და ყორანსა...
უშვილობა სჯობს ათასჯერ,
უღირსი შვილის ყოლასა.

II

კარგი დედ-მამის შვილობა
თუკი განგებამ ინება,
არის ტვირთიც და კვარცხლბეკიც,
ღვთის წყალობა და ღვთისნება.
თუ ქვეყნის ტვირთიც არ ზიდა,
სამშობლო არ გაიღმერთა,
თუკი დასჭირდა მამულს და
სიცოცხლე არ გაიმეტა,
თუ თვითონც არ ივაჟკაცა,
სახელი არ დაიბედა,
ნურვინ იქნება მარტოდენ,
კარგი დედ-მამის იმედად.

## პალესტინის ცა

ისევ ბრძოლის და ხროლის ხმა ისმის
და მიმძიმდება ფიქრიც, გულიც.
გოლგოთის გზაზე დაღვრილი სისხლი
ნუთუ არაფერს არ გვეუბნება.

რაც იყო იმას ვერავინ წაშლის,
დრო თვითონ არის მემატიანე
და ქართულ დროშას ამაყად გაშლილს,
იქ ჩვენი სული კვლავ აფრიალებს.

როცა აქ გვადგა დღეები ძნელი,
იქ რუსთაველის სული გვშველოდა.
იქ ხომ მერჩულე ათასი წელი
ქართული მიწის ხილვას ელოდა.

იქ ხომ იონა ზოსიმე წერდა
ქართული ენის ქება დიდებას,
იხსნება ბჭენი გარდასულ წელთა,
და იმედები უფრო დიდდება.

იქნებ, იქ არის თამარის ძვლებიც
და რუსთაველის წიგნსაც ინახავს,
ძველი ქართული ფოლიანტები
იქნებ, იქა დევს ისევ ინახად.

მათზე ოცნებით, ფიქრებით მათზე,
როცა იმ წლებს და იმ გზებს მოვივლი,
ტკივილითა და წუხილით მავსებს,
დღეს პალესტინის ცა შებოლილი.

## უხსენებელი

ხალხს ხომ დაუჯდა ძვირად
კაენ-იუდას სახე.
და ნუ ვახსენებთ ხშირად,
უხსენებელის სახელს.

მართლაც ჰგავს ბედისწერას,
კვლავ რომ მისი ხმა გვესმის,
ატანილი ჰყავს წერას
პოლიტიკური ლეში.

განა სიმართლეს ეძებს,
მისი თვალი და ყური.
მუდამ ორპირი, ფლიდი,
ისევ ცრუობს და ტყუის.

იფერებს "ბრძენის" იერს
და თავხედობაც ჰფოფნის...
წამლავს კრწანისის გმირებს,
კრწანისში მისი ყოფნით.

***

მტერო ნუ გათამამდები,
შინაურო თუ გარეშევ,
ბევრი გვინახავს ორგული,
მოძხლური და მოთარეშეც.

თუმც ბევრჯერ გადაგვიარა
ხმლის ელვამ, სისხლის წვიმამა,
მოხვალ და მწარედ ინანებ,
როგორც ბევრმა სხვამ ინანა.

## არ მჭირდება სხვა რამ განძი

არ მჭირდება სხვა რამ განძი,
ოქრო-ვერცხლი და არც ჯილდო.
ჩემი წილი ქვეყნის ტვირთი
მინდა სიკვდილამდე ვზიდო.

მინდა, სანამ სული მიდგას,
სანამ მკერდში გული ფეთქავს,
ქართულ ლექსის სიყვარული
უღელივით ქედზე მედგას.

მინდა, ერთი საფიქრალი
და ოცნებაც ერთი მქონდეს,
სამშობლოს და ქართულ სიტყვას
ვეფერო და ისე მოვკვდე.

***

ენა, სამშობლო და ლექსი,
ეს არის ჩემი სამება,
სიყვარული და ალერსი,
სიხარული თუ წამება.
და როცა ციდან ხმა მესმის,
სული მიწაზე არ იცდის...
სამშობლო, ენა და ლექსი,
სხვა სალოცავი არ ვიცი.

დასაწყისი გვ. 8-დან

მოვლენაა ქართულ სინამდვილეში, რადგან მან კვლავაც აღამაღლა და გაადიდა წარმოდგენა ქართველ კაცზე! და ეს მოხდა იმ დროში, როცა ადამიანის ღირსება ბევრად უფრო დაკნინებულია, ვიდრე წინა საუკუნეებში. მისი შემართება იმპერიის წინააღმდეგ, მისი ძალისხმევა პატიმრობისას პიროვნული მეობის შესანარჩუნებლად, მისი განსწავლულობა და ინტელექტი რიგითი ქართველის მიერ დაპყრობილ ახალ სიმაღლეებს გვიჩვენებს. ამიტომაც, მას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, იმდენი ულირსი გვირევია, მათი "წყალობით", ქართული ერი თავის საუკეთესო შვილებს უმეტესად უდროოდ დალუპულით ემშვიდობება.

მერაბ კოსტავა გასაოცარი პიროვნული ხიბლით შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ჯერ კიდევ არალეგალურ ჟურნალებში "ოქროს საწმისსა" და "საქართველოს მოამბეში" მისი სტატიები წაიკითხა, განსაკუთრებით კი – დიდოსტატ კონსტანტინე გამსახურდიაზე, უთუოდ თავიდანვე მიხვდა, სრულიად განსხვავებული აზროვნებისა და სულიერი წყობის, სიმართლისათვის თავდადებულად მებრძოლს რომ შეახვედრა იმ სტრიქონებმა. მრავალთა სახელით იმიტომ ვწერ, რომ შეუძლებელია მერაბ კოსტავასთან პირველი შეხება – ნაცნობობა ალფრთოვანების გამომწვევი არ ყოფილიყო სხვებისათვისაც, და მაინც მერაბი უჩინარად რჩებოდა ათეული წლების მანძილზე და ქართველთა უმეტესობა მას არ იცნობდა, სანამ იგი 80-იან წლებში საპატიმროდან არ გათავისუფლდა.

ადამიანს იშვიათად თუ რგებია იმდენი სატანჯველი, მერაბს რომ საპატიმროებში განუმზადეს და ამავე დროის რა უბედურებანიც მის ოჯახს დაატყდეს თავზე. ღვთის მადლით, იგი მაინც გადარჩა! საქართველომ განთავისუფლებული იხილა თავისი გმირი, დიდ წინაპართა ღირსეული მემკვიდრე, სწორუპოვარი ვაჟკაცი და დიდი მოაზროვნე, რომელმაც თვალსაჩინოდ დაგვანახა, რომ ჩვენს საოცრად დაკნინებულ საზოგადოებაშიც შეძლებულა დიდი მამულიშვილების წარმოშობა! ათი წელი გაატარა მან საბჭოთა ციხეებსა და გულაგებში და სულით არ გატეხილა, ფოლადივით უდრეკი რწმენას სხვებს უნერგავდა. "მწუხარე სახის რაინდი", როგორც მას უწოდებდნენ ხოლმე, ერის სინდისს წარმოადგენდა, თითქოს წარსულის ფოლიანტებიდან ამოვიდა იგი, უშიშარი, ვითარცა უხორცო და თავდადებული სამშობლოს თავისუფლებისთვის.

შავლეგოს ეძახდნენ, რადგან ძალიან უხდებოდა გმირის ეს სახელი. სიმღერა "შავლეგო", ცხადია ადრეა შექმნილი, მაგრამ იგი მერაბის პიროვნებას ისე მოერგო, სამუდამოდ მას ტკბილად დარჩა. ასეთი რამ მხოლოდ ერის უერთგულესი ადამიანების ხვედრია და იყო კიდეც ურთგულესი. რჩეულთა შორის თავიდანვე გამოირჩა და საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას მანამდე უნახავი შემართებით, ბიბლიური სიმამაცით შეუდგა. იგი თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების ერთიერთკოორდინაციისა და სრული შეთანხმების მომხრე იყო და სადაც კი გამოჩნდებოდა ახერხებდა კიდეც ამ ძალთა შერიგება-დაახლოებას. მამულის ყველა გასაჭირის, ავ-კარგის ბოლომდე გამთავისებელი იყო და ეს რომ იცოდნენ, იმიტომაც უჯერებდნენ.

მერაბ კოსტავამ სკოლის წლებიდანვე აიფრიალა საქართველოს თავისუფლების მინდისფერი დროშა და იქიდან მოყოლებული პირადული თუ რამ ებადა, ყველაფერი შესწირა სამშობლოს და ბოლოს – სიცოცხლეც! მან, ზვიადთან ერთად, სამშობლო გამოაფხიზლა სალათის ძილისაგან და ეროვნული მოძრაობა არნახულად აამაღლა, თავისუფლების მტკიცე იმედი ჩაუნერგა ქართველ ხალხს... "ავთანდილობა ძნელიაო", წერდა იგი, მაგრამ მან შეძლო მეგობრობაში ავთანდილობა! – შეძლო კიდევ უფრო ძნელ სიტუაციებში, კიდევ უფრო დიდი იდეალების განსახორციელებლად, ვიდრე ეს რუსთველის ავთანდილის დროს მოხდა.

სიცოცხლეში ნაწამებს, მრავალ სატანჯველგამოვლილს, ყოვლადმხრივ სიკეთით შემკული ერთადერთი ვაჟკაცი შვილის დამკარგავ მამას წუთისოფელმა მართლაც ბევრი სევდა შემოაფეთა, მაგრამ სიკვდილმა დაადგა საოცარი შარავანდედი.

გვახსოვს რა დიდი ძალისხმევა გახდა საჭირო რათა მერაბი მთაწმინდაზე დაეკრძალათ.

გვახსოვს ქართველი ხალხის რა გრანდიოზულ მანიფესტაციად იქცა მისი დაკრძალვა.

ქართველმა ერმა თაყვანი სცა ქართული სულიერების უბადლო რაინდს.

მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გამოიცა მერაბ კოსტავას ლექსები, პუბლიცისტური მემკვიდრეობა, სადაც ნათლად გამოჩნდა მისი უზადო, უდიდესი მამულიშვილობა.

და მაინც გასაოცარია, რომ საქართველოში ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც უეჭველში საეჭვოს ეძებენ, ხალხის აზრზე მაღლა თავიანთ უცნაურ ნაფიქრალს აყენებენ. ქართული ინტელიგენციის ზოგი წარმომადგენელი ვერ ჩაწვდა (თუ არ ჩაწვდა) ერის გამომაფხიზლებელთა მისიას, მათი უკომპრომისო შემართებული ცხოვრების დიდებულებას... მხოლოდ ერთ ფაქტს მოვუხმობ... მწერალ გიორგი პაპუაშვილის სტატიაში "საქართველოს გამოღვიძებისათვის", რომელიც 1993 წლის 18 სექტემბრის "საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა, თავი მოიწონა იმით, რომ თურმე თავის დროზე მწერალ ნოდარ წულეისკირს ედავებოდა მერაბ კოსტავას ცხედრის მთაწმინდაზე დაკრძალვისათვის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მონდომების გამო. – ეროვნულ მოძრაობას იმდენი ლიდერი ჰყავს, ყველანი მთაწმინდაზე ვერ დაეტევაო. მწერალთა კავშირშიც უკმაყოფილებას გამოთქვამდნენო. ამას წერს მერაბის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ და თანაც, მისი აზრით, ავტორიტეტულად ასკვნის: ეროვნული ძალადობით იცვლებოდაო საბჭოთა ძალადობა. რაოდენ დასანანია, რომ ამის დამწერი ქართველი მწერლის სახელით იხსენიება.

დრომ დაგვანახა (მაშინაც ჩანდა!) რაოდენ შეუმცდარი იყო ეროვნული "ძალადობა", რასაც ზვიადმა და მერაბმა ჩაუყარეს საფუძველი. ამ "ძალადობის" შედეგად ეზიარა საქართველო თავისუფლებას... ის ავადსახსენებელი სტატია გავიხსენე მხოლოდ იმიტომ, იქნებ ჯერაც არიან შემორჩენილნი ისეთნი, მერაბის როლს სათანადოდ რომ ვერ აფასებენ და სამშობლოს თავისუფლებას სათანადო პატივს ვერ მიაგებენ...

***

მერაბ კოსტავა ჭეშმარიტი ქრისტიანი, ისევე როგორც ზვიადი, ჩვენი მომავლიდან მოვლენილი თავისუფალი ქართველი იყო, – ასე სწერდნენ მისი გარდაცვალების დღეებში და ასეც იყო.

ჩვენი გაუტეხელი სინდისი! – ასეც უწოდეს მას სამართლიანად. მისი ცხოვრება სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა, სიკვდილის შემდეგ კი მით უმეტეს აღზევდა ქართველობის მწვერვალზე.

როგორც უდიდეს ქართველებზე, ისე მასზეც ერცხელდება ილია ჭავჭავაძის სიტყვები: "მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა".

როგორც უბრწყინვალესი ქართველისა და უბადლო ვაჟკაცის, სიმართლისთვის, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის თავდადებულის, დიდ წინაპართა მემკვიდრის სახელს, მერაბმა რომ უჩვეულო შემართებით დაიმკვიდრა, შესაძლოა ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებში, უხეირო, უცხოთა მარიონეტი ხელისუფლებისაგან ჩრდილი მიადგეს, მაგრამ რაც დრო გავა, მომავალი მის სახელს კიდევ უფრო გააბრწყინებს, რადგან იგი ლეგენდარული ზურაბივით საქართველოს ძლიერების საძირკველშია ჩადუღაბებული.

თაობები მოიყრიან მუხლს მის წმინდა საფლავთან და დარჩება მერაბ კოსტავა სამარადისოდ ერის საოცარ რაინდად.

უთუოდ ღვთაებრივი იყო მისი და ზვიადის, ერის ამ უდიდეს ქომაგთა მისია საქართველოსთვის.

მერაბ კოსტავა იმდენად გაითავისა ქართველმა ხალხმა, რომ მის დედაზე, ქალბატონ ოლღა დემერია-კოსტავაზე ხშირად ამბობდნენ და წერდნენ: ყველა ჩვენთაგანის, ყველა ქართველის დედაო. ასევე მიმაჩნდა პირადად მეც, თუმცა, მიუხედავად ამისა, ქალბატონი ოლღა მაინც არ იყო გარემოცული სათანადო ყურადღებით, რადგან ეროვნული ხელისუფლების დამამხობელნი არც საქართველოს სწყალობდნენ და არც მის დედად წოდებულს.

***

სადაც ადამიანური სამართალია (ღვთისმიერს ბოლომდე ვერ ვწვდებით) მერაბ კოსტავას თავის სამშობლოში ლაღად და მოლხენილად უნდა ეცხოვრა, უდიდეს ქართველად დაბადებულს მშობელი ერისაგან უნდა მიეღო მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული და თაყვანისცემა, მაგრამ დამონებული ქვეყნის მამულიშვილთა ბედი რომ უმკაცრესია ეს მისი ცხოვრების მაგალითითაც გამოჩნდა. ნაცვლად პატივის მიგებისა, ყმაწვილობიდან სარეველად ხმობილი და შემდგომში მორყეული გულაგების ბინადარი, ადამიანურ გაძლების ზღვრამდე მისული შიმშილობითა და სასოწარმკვეთ საკნებში ნარების ხეხვით ატარებდა ცხოვრების საუკეთესო წლებს. უმოწყალო ბედმა უდიდესი უბედურებაც შეამთხვია, სასახელოდ გაზრდილი შვილის დაღუპვის ტრაგედიაც განაცდევინა.

სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილის მოვალეობის შეგრძნება ათმაგად აძლევდა მას ძალას, საშინელ სიძნელეთა ატანის უნარს, რითაც მის გვერდით მდგომსაც ემატებოდა მხნეობა და ძალა. იმპერიის მარწუხებშიც კი შეუძლებელი იყო ასეთი სულიერად და ფიზიკურად ბრგე, ფოლადივით უდრეკი ვაჟკაცის დამორჩილება.

მერაბ კოსტავასთვის ბევრჯერ მომისმენია, – უმეტესად ზუგდიდში. რამდენჯერმე მისაუბრია მასთან სხვებთან ერთად. ჩვენი აზრები თავიდან იდენტური როდი იყო, მაგრამ მეც თანდათან მიმტკიცდებოდა ნდობა ეროვნული მოძრაობისადმი. როცა მერაბი დაიღუპა, სულისშემძვრელად ვიგრძენი თუ ვინ დავკარგეთ. მისადმი ხალხის ზღვარდაუდებელმა სიყვარულმა, რაც დაკრძალვისას გამოიხატა, ზვიადის მიერ მეგობრისადმი უბადლო ერთგულებამ და გარშემოკრებილთა გლოვამ დამანახა თავდადებულთა მთელი სიმაღლე და დიდებულება. მაშინ შემიმყარდა ეროვნული მოძრაობის ორგულეთ გაერთიანებულთა თანამოაზრეობის გამომხატველი კავშირისა (თუმცა ზოგი რამ მიჩვენებია რომ ფიქილა ეს შემდგომშიც გამოვლინდა) და მას შემდეგ სულითა და გულით მივენდე ეროვნულ მოძრაობას. მერაბი იყო ჩემთვის ეროვნული მოძრაობისადმი ნდობის პირველი გარანტი, რწმენის დედაბოძი! ვინც მერაბს თაყვანს სცემდა, ჩემთვის უწინარესად იგი წარმოადგენდა ღირებულსა და მისაბაძს. ჩემსავით უთუოდ მრავალი "კომუნიზმის მშენებელი" (სოციალისტური ქვეყნის იდეოლოგიურ სამზღვრებში ჩამდგარი ვგულისხმობ) შეატრიალა მერაბმა სამშობლოს თავისუფლების მოტრფიალეთა რიგებისაკენ და ჩააყენა მებრძოლ ეროვნულ ძალებს... მისადმი ნდობამ ხიბლი შემატა ცალკე დარჩენილ ზვიადს.

ბავშვობიდანვე პატრიოტთა ოჯახში ვიზრდებოდი, თვითონაც სამშობლო მიმაჩნდა გულის მზედ, მაგრამ როგორც ქართველთა უმეტესობამ, ისე მეც ზვიადისა და მერაბისაგან ვისწავლე სამშობლოსადმი ჭეშმარიტი სიყვარული, თავდადებულთა სულის ნათელით რომ არის გაბრწყინებული...

ნანახი, მოსმენილი და განცდილი მარწმუნებს, რომ მერაბ კოსტავა ბევრთათვის თვალშეუდგამი სიმაღლიდან დაგვყურებდა სიცოცხლეშივე და მომავალშიც იგი მუდამ იქნება სამშობლოსათვის, ქართველი ხალხისთვის ერთგულების ორიენტირი, უებრო რაინდი ახალი დროისა.

მინდა გავიხსენო "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებისადმი მიძღვნილი სუფრა სოფელ დიღომში, შემდგომში თბილისის მერის, თამაზ ვაშაძის სახლის დედაბოძთან დიდ დარბაზში, 1990 წლის 2 ნოემბერს. სუფრის თამადას, ზვიად გამსახურდიას დარბაზიდან გასვლისას მასპინძელმა ცარცის ნატეხი მიაწოდა და თხოვა კედელზე ავტოგრაფი დაეტოვებინა. ზვიადმა კედელს დიდი ასოებით მიაწერა: დიდება მერაბს! ეს იყო საქართველოს მომავალი ხელისუფლის კეთილშობილური ჟესტი, – ერთგულება თანამებრძოლისა და მეგობრისადმი.

და მართლაც დიდება მერაბს! ამ უბრწყინვალეს ქართველს, სწორუპოვარ ვაჟკაცს, თავისი ერის დიდ მოჭირნახულეს. ჩვენ, ქართველებმა უნდა ვუთხრათ მას საკადრისი სიტყვა, ეს იქნება ნარკვევით, ლექსით, ქანდაკებით, მუსიკით, მხატვრობით თუ სხვა რაიმეთი, ეს მან, მთლიანმა, გაუბზარავმა, მონოლითურმა პიროვნებამ, რომელიც მამულიშვილის ორიენტირად, ფოლადის მონუმენტივით დგას ქართულ მიწაზე, დაიმსახურა ქართველი ერის განსაკუთრებული სიყვარული.

ჩვენი ერის ბედნიერებაა, რომ მე-20 საუკუნეშიც ჰყავდა უდიდეს წინაპართა შესადარი ისეთი ქართველი, როგორიც მერაბ კოსტავა იყო!

ქართველთა მეხსიერებამ მას ხელთუქმნელი, მარადიული ძეგლი აუგო!

# პირველი კლასიკური გიმნაზიის დირექტორს, სკოლა, საკუთარ კანტორად აქვს გადაქცეული

თბილისის №1 კლასიკურ გიმნაზიაში, ჯერ კიდევ ავადსახსენებელი შევარდნაძის 13-წლიანი მმართველობის პერიოდში, ისევე როგორც სხვა დაწესებულებებში, უმთავრესად მოქმედებდა პროტექციული ურთიერთობისა და მიღების წესი. ამ ნეგატიური წესის თანახმად



ამ პრესტიჟულ გიმნაზიაში, სწავლის პატივი და უფლება უწინარესად ენიჭებოდა თანამდებობის პირთა ოჯახის შვილებს, ან მათ პროტექტორატებს, ხოლო დარჩენილი ადგილების შევსება ხდებოდა რიგითი, ჩვეულებრივი მსურველებით, რომლებსაც საამისო განაცხადი წლის დასაწყისის პირველი თვეებიდანვე უნდა გაეკეთებინათ.

ამგვარი დისკრიმინაციული პრაქტიკა, თითქოს უნდა აღმოფხვრილიყო სააკაშვილის სკანდრო პოლიტიკაში, მაგრამ თბილისის №1 კლასიკური გიმნაზიის ახალი დირექტორი ლელა წიქარიშვილი მტკიცედ და განუხრელად აგრძელებს თავისი წინამორბედის ლია შეწირულის მიერ დამკვიდრებულ წესს საჯარო სკოლაში მისაღები მოსწავლეთა კონტინგენტის მიმართ.

მაშინ, როდესაც დღევანდელი განათლების სამინისტროს მიერ სკოლაში მიღების უპირატეს უფლებად აღიარებულია საცხოვრებელი ადგილი, №1 კლასიკური გიმნაზიის საჯარო სკოლაში, სწავლის უფლება, რატომღაც მაჭმანებით, ეძლევა გლდანის, ღრმაღელის, ვარკეთილის, ვაზისუბნისა და სხვა შორეული დასახლებების მოსწავლეებს, ხოლო ამ სკოლის უახლოესი მაცხოვრებლების უმეტესობას კი აღკვეთილი აქვთ და მათ ძველებურად, ცხვირწინ უხურავენ კარებს, რითაც აბუჩად იგდებენ და უხეშად ლახავენ მათ უფლებებს.

## ერისკაცობისა და ერისქალობის დღის დაწესების შესახებ

ლია ანდღულაძე

ეროვნულმა ხელისუფლებამ ორი მნიშვნელოვანი თარიღიც აღადგინა თავის უფლებებში: 6 და 14 მაისი. პირველი წმინდა გიორგის სახელთანაა დაკავშირებული, მეორე – თამარ მეფესთან. ეს დღესასწაულები მხოლოდ წარსულთან არ გვანათესავებს, მასში ჩვენი მოდგმის ორი სპექტრია წარმოდგენილი: მებრძოლი წმინდანი პროტოიბერიული სამყაროდან – კაპადოკიიდან და ქართველი, ასევე წმინდანად, მეოთხე იპოსტასად შერაცხული გონიერი მეფე ქალი, ორივეს დიდ პატივს მიაგებენ ჩვენი მოდგმის კავკასიის ხალხები – ორივე ქართველთა საამაყო წინაპარია...

სახელთა და თარიღთა აღდგენა ერის ღირსების ამაღლებას დაუკავშირდა. 80-იანი წლების დასასრულის საქართველომ ხიდი გადო მივიწყებულ სახელოვან წარსულთან, სულიერებით თავისი დაკარგული შარავანდედი დაიბრუნა. ეს სულისკვეთება ვერ მოაშთო მომდევნო დროში ღირსებასთან ურიცხვმა ბრძოლამ და მიღწეული ნათელი კონტრასტულ ფონზე კიდევ უფრო მეტად გაბრწყინდა, მიიქცია ყურადღება. ჩვენი მიმართვაც ასეთ ერისშვილებს ეხება – საუკეთესო მამულიშვილთა ორივე სქესის წარმომადგენლებს.

მანდილოსნებით დავიწყებთ.

ქართველ ქალთა დამსახურება ჩვენი ისტორიის ნებისმიერ გზაჯვარედინზეა გამოვლენებული – შვილი მამულისათვის უნდა გაეზარდა. დედის საავენე ტექსტშიც აისახა ეს განწყობილება. ქალი წმინდანი, მეცენატი, გმირი, დიპლომატი, ხელისუფალი, მწიგნობარი, მეცნიერი თუ ხელოვანი ცოტა არ გვყოლია.

ჩვენი თაობა მოწმეა ქალთა დიდი თავგანწირვისა და იგი 9 აპრილის სახელით იქნება ცნობილი უახლეს ისტორიაში.

"რაც ჩვენ ვერ შევძელით – ჩვენმა ქალებმა გააკეთეს" – მადლიერების ეს სიტყვები ნათქვამია "კოლხურ კოშკში" შერაბ კოსტავას მიერ ერის წინამძღოლთა ციხიდან გათავისუფლების ღამეს.

მშვენიერი სქესი ყველგან სიყვარულის საგანია. ძირითადად ქართულმა ეროვნულმა პოზიციამ, ისტორიამ და ეკლესიამ ქალისადმი დამოკიდებულების უმაღლესი ფორმა თაყვანისცემით გამოხატა. ასეთი პატივისცემა შესაბამისობაში იყო ჩვენი ქალების ღირსებასა და ღვაწლთან. ქართველ ქალს ასეთი მასშტაბურობა, მამაკაცის გვერდით, ოდითგანვე მოსდგამდა. ყოველივე ამის შესახებ, საკითხის ღრმა ცოდნით მოგვითხრობს პრეზიდენტი, როცა თავის საჯარო ლექციაში ეროვნული ხასიათის გამომხატველ ორ წმინდანსა და ხატზე მოგვითითებს: ორივე ჯერ კიდევ წარმართობიდან იღებს სათავეს და ერის ზნეობის ჩამომყალიბებლად გვევლინება. ერთ ასპექტს ჩვენი ეროვნული რწმენისას ზეიად გამსახურდია ხედავს ღვთისმშობელში, რომელიც თავის მხრივ, იაფეტურ-ქართველური მოდგმის დედა-ქალღმერთის, დედა-უფალის, ადგილის დედას ეფუძნება.

ჩვენი მოდგმის სხვა ხალხებშიც იგი წარმოდგენილი ყოფილა ქალღმერთების – დემეტრას, ჰერას, არტემიდეს თუ მცირეაზიული ნანას სახით, რომლის სახელი ასე ხშირად გვესმის საქართველოს დასავლეთის სიმღერებში (მათივე პარალელურად კულტია სვანური და ჩეჩნური დალი). იესოს მშობელი დედაც იმიტომ იქცა ამ ქალღმერთების ქრისტიანულ ასპექტად და თავის თავში იმიტომ გააერთიანა წარმართობიდან მომდინარე ქალღმერთი, რომ ეს სახე მახლობელი იყო ქართული მოდგმისათვის. სახეთა ამ შერწყმამ გაამდიდრა მისი მისია. თუ წარმართი ქალღმერთები ნაყოფიერებას უფრო გამოხატავდნენ, ქრისტიანობამ მასში გამოავლინა სალვთო სიბრძნე – სოფია. ასეთ სიბრძნეს ზვიად გამსახურდია ხედავს თამარის სახეში, რომელმაც უნდა აღასრულოს მესიის ახალი აღთქმა, რაც იესიან-დავითიან-ბაგრატოვანთა, თამარ მეფისა და საქართველოს სამეფოს მისიაა ერთდროულად.

მეორე და უმთავრესი ეროვნული ღვთაებაა თეთრი გიორგი, რომელსაც ქრისტიანულ პერიოდში ისტორიულად არსებული წმინდა გიორგის სახელი შეერწყა, ქავთნის სახელთან – გეორგიასთან ერთად. ეს წმინდანი ყველაზე მეტად გამოხატავდა მებრძოლი ქრისტიანისა და ერის ბუნებას. წარმართობის ხანაშიც ქართველთა უმთავრესი ღვთაება (მთვარე) მეომარი მამაკაცის სახით იყო წარმოდგენილი: "ქრისტიანობამ საქართველოში გეორგიანობის სახე მიიღო – წერს ზვიად გამსახურდია, – მისი მისია ბოროტებასთან ბრძოლა და კაცობრიობის ხსნაა."

მებრძოლი და სალვთო სიბრძნის წმინდანთა კულტი ძირეული საყრდენია ქართული ქრისტიანობისა. ამიტომაც სრულად არიან ასახულნი ჩვენს ღვთისმეტყველებაში, ხელოვნებაში, მწერლობაში, გამოვლენილნი ქართულ ხასიათში.

ჩვენ – ამ წმინდანების მაღიარებლებს – მათივე სახელის და ღირსების ისტორია გვაქვს გამოვლილი. ეს ეროვნული წმინდანებიც ჩვენი ქვეყნის სიმბოლოებად მანამდე რჩებიან, ვიდრე სიმაღლეს არ ვთმობთ.

აწმყო ულმობლად ცვლის ჩვენი ქვეყნის არა მარტო ტერიტორიულ საზღვრებს და სოციალურ პირობებს, არამედ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებსა და ზნეობას.

შედეგი სახეზეა და ამის გულმტკივნეული მოწმენი თავად ვართ. უიმედოდ ჟოლნაც არ გვჩვევია და საბაბიც ხვმარ გვაქვს, რომ იმედი ჩვენშივე, ჩვენს სისხლსა და სინდისში ვეძიოთ. მით უფრო, რომ განსაცვიფრებლად თვალსაჩინოა ქარში მყოფი ჩვენი თანამოძმეების უდრეკი ერთგულება სიმართლისა და დამხობილი კანონიერებისადმი.

მაღალი იდეალებისთვის თავგანწირვის ეს ცოცხალი მაგალითები მუდამ წინ აღუდგება ჩვენს დაცემას და დაროქების უფლებას არ მოგვცემს.

ეროვნული სახისა და ღირსების შენარჩუნება ახლა ჩვენს უპირველეს მოვალეობად იქცა., მისი დაკარგვის საშიშროება ყველაზე ადრე იგრძნო და აღნიშნა დევნილობაში მყოფმა ჩვენმა პრეზიდენტმა: "ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა".

ერის სულიერი გაჯანსაღებისა და ამაღლებისათვის მებრძოლმა ხელისუფლებამ თავზარდამცემად მიიჩნია არა იმდენად პირადად თავს დატეხილი უბედურება, არამედ ერის დაცემის საშიშროება, რაც საუცხოო საფუძველს შეუქმნიდა ჩვენს ფიზიკურ გაქრობასაც.

გასათვალისწინებელია ჩვენი პრეზიდენტის ეს შეშფოთება, იგი ხომ ყველა სფეროში ერის დამლუპველი ტენდენციის პირველი მიწინააღმდეგეა, თავისი დიდებული მამის მსგავსად.

მართლაც, შექმნილ ვითარებაში ადვილად განხორციელებადი დაცემა შემზარავია თავისი შედეგებით. ჩვენ ვიცით, რომ ამ დაცემას არ აპირებენ მეომარი ქართველები, მაგრამ ახალგაზრდობა – ჯერ კიდევ უწვრთნელი სული – ადვილად მისაყოლია უზნეობის ასეთი ინტენსიური პროპაგანდით. ახალგაზრდება, დინე და იმედი ჩვენი მომავლისა, სურთ ჩამოაშორონ ქვეყნის ინტერესებზე ზრუნვას.

თუ ჩვენ ჩვენი პრეზიდენტის ერთგულებით მისი იდეალების მიმდევრები ვართ – ვალად გვადევს არ დავთმოთ ტრადიციით ნაანდერძევი ეროვნული ზნეობა და მოვალეობა.

ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ზვიად გამსახურდია შენიშნავდა თავის თანამებრძოლებს: მაღალი იდეალებისათვის ბრძოლა არ შეიძლება დაბალი იდეალებით. ამდენად, არც დამთავრებულა ჩვენი წმინდა ბრძოლა. იგი ახლა ჩვენი დაცემის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

გაგრძელება მე-13 გვ.

დასაწყისი მე-12 გვ.

ჩვენი დრო მიზანთა, იდეათა კონტრასტებითაა გამორჩეული. ჩვენ ვცხოვრობთ გმირების, წმინდანების და დამნაშავეების გვერდიგვერდ. ბევრია გამოუსწორებელი, მაგრამ დაცემისკენ სწრაფვაში ერთსულოვნებას არა აქვს ადგილი.

თუ ჩვენს თავს აღარ დავემსგავსებით – ერის გენოციდი ჩვენი ცოცხლად დარჩენის პირობებშიც განხორციელებულია. საკუთარ თავთან შერიგების პრობლემას შემთხვევით არ წამოსწევს ჩვენი პრეზიდენტი თავის მხატვრულ შემოქმედებაში.




ეროვნული ხელისუფლების წინამძღოლს სიტყვით და საქმით ბევრჯერ გამოუხატავს ნდობა და სიყვარული თავისი ხალხისადმი; ფიქრობდა შესაფერისი ფორმა მიეცა ამ მადლიერებისთვის წამებულთა და ერთგულთა მიმართ, საქართველოში დაბრუნების პირველსავე დღეს მისდამი უსაზღვრო სიყვარულის პასუხად მან ქართველობას "ჩემი ხალხი" უწოდა. ამ სიტყვის შინაარსში მართალი, პატიოსანი და ერთგული ადამიანები იგულისხმება.

ერში უფსკრულია გაჩენილი. პოლიტიკური და სოციალური სხვაობა უფრო თვალსაჩინოა, რადგან ვითარების გარსია. არსებითი კი ისაა, რომ ერი ზნეობრივი ნიშნითაა გამოყოფილი. ზვიად გამსახურდიას არც ერთი იდეა არაა ზნეობრივი დატვირთვის გარეშე. ამიტომ იქცა მისი მიმდევრობა ეროვნულ მოძრაობად და აწ მისი სახელი იარსებებს და გაყვება თაობებს. მისდამი ერთგულება ახლა უკვე ზნეობრივი იდეის ერთგულებაა, რადგან ერის ღირსეულ წინამძღოლს სულიერად ამაღლებული ხალხი და ქვეყანა სურდა ენახა და ეშენებინა – მისი პიროვნული მისია მთელ ერს გადასცემოდა.

გვაქვს ბედნიერება ვრწმუნდებოდეთ, რომ უმძიმეს და იქნებ უპრეცედენტოდ საშიშ ვითარებაშიც ამ მიზნის ერთგულები, სიკვდილის მუქარითაც არ თმობენ მოძღვრისა და მშობელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ასეთი ქართველების გულისა და გონის თავგანწირულ გარჯას ადრეც მრავალჯერ გადაურჩენია მამული და ამ ხალხის სახელიც ამიტომ ჰქვია თავად ქვეყანას, რომელსაც ღმერთიც დაიფარავს და მის გაბრწყინებასაც ამ ხალხით მოახდენს.

ხალხი უკვე სახელით იცნობს მათ და მათდამი მადლიერებით აღვსილი, სიყვარულს და იმედს ინარჩუნებს ქართველებისადმი, როგორც ღირსებისადმი, რომლის ნაკვალევის წაშლას ასე ესწრაფვიან თავისუფლების დამამხობელნი.

დუმილიც არ ეგების. ბატონი კონსტანტინე გამსახურდია თავისი შემოქმედებითა და პირადი მაგალითით გვკარნახობდა – შრომით და ბრძოლით გამორჩენილ სიმამაცეს. ამასთან დასძენდა: "ყოველივე გმირობა, თუგინდ მეფეთა და უდიდეს სარდალთა, სავსებით ამაოა, თუ მათ ღირსეული მემატიანე და მეხოტბე არ აღმოაჩნდა".

ცხადია, მოუსყიდველი მემატიანე სწორ შეფასებას მისცემს მოვლენებს და ამ პერიოდის პატიოსნებას გმირობას დაარქმევს. პოეზია ამ თვისებების ხალხს კაი ქალ-ვაჟად მოიხსენიებს, ზღაპრები – ღვთისშვილებად.

ზვიად გამსახურდიას "ჩემი ხალხის" ორივე სქესის წარმომადგენლები დღეს უმძიმეს პირობებში არ ღალატობენ სიმართლეს. ეს განცვიფრებასაც იწვევს და შეფასებასაც გვავალებს.

ორი ათეული წლის წინ სიმართლისათვის ჯერ უნივერსიტეტიდან, შემდეგ მწერალთა კავშირიდან გარიცხულ ზვიად გამსახურდიას მამის საფლავთან მედიტაციური კითხვა დაისვეს: "ღირს კი ბრძოლა?" ელიტარულმა ინტელიგენციამ მონური ყოფასთან შეგუების გამო მხარი არ დაუჭირა ზვიად გამსახურდიას პროტესტებს ადამიანის უფლებების დარღვევებისა და ქართული ეკლესიების სავალალო მდგომარეობის თაობაზე.

მეორე დღეს იგივე სცენა უნდა გათამაშებულიყო შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. მოლოდინი ერთი თანამშრომლის მართალმა სიტყვამ დაარღვია. ზვიადმაც პირობა არ დადო, ხელი აიღო მხილებაზე. "ჩემი პოზიცია მორალურ-ეთიკურია და ვიდრე იგი ირღვევა, მე ამის შესახებ დავწერ და ხელს მოვაწერ" – იყო მისი პასუხი კოლეგების თავდასხმისა და "რჩევის" გამო. იგი დააპატიმრეს, მაგრამ იმ ერთის მხარდაჭერა, ჭაშნიკივით მთელი ხალხის განწყობილების ამოსაცნობად იქცა. 1989 წლისათვის ეს უკვე ყველასათვის ნათელი იყო: ზვიადს გაჰყვა ხალხი. თავის მხრივ, ზვიადი ენდო თავის ხალხს და არც შემცდარა. მისდამი ერთგულებამ ერის ზნეობრივი განვითარების გამრუდებული ხაზი გამართა – ამ და მომდევნო თაობებს ზნეობის მაგალითი მისცა – შუბლზე მხეცის ნიშანს ააცდინა. ეროვნულ გმირებს ჩვენ ახლა მარტო ლიტერატურით, ისტორიით არ ვეცნობით. ჩვენ მათ ვხედავთ, ვისმენთ. ჩვენ თავად ვნათლავთ მათ გმირებად და ეს სადღეგრძელოთი ბოძებული ხოტბაა არაა. ამ აზრს ჩვენი თანამემამულეების გმირული საქციელი ბადებს, იმ იმედთან ერთად, რომ ასეთი ხალხი არ შეიძლება დაიღუპოს.



1991 წელს საქართველოში სტუმრად მყოფმა ამერიკის ექსპრეზიდენტმა ნიქსონმა მოსწავლეთა სასახლეში ჩვენი ყმაწვილების ცეცხლოვანი ცეკვები რომ ნახა, ხელის ნერვიული მოქნევით წამოიძახა: "ამ ხალხს ვერავინ ვერ დაამარცხებს!" ჩვენს სიმღერებსა და ცეკვებში ჩვენი ხასიათი – ერის სულია.

მოწიწებით თავს ვხრი ჭირში მყოფი ჩემი ხალხის სულიერი დონის წინაშე და მივიჩნევ, რომ ვუახლოვდები ჩვენი პრეზიდენტის სურვილს აგრეთვე გამოვხატავ დევნილი უზენაესი საბჭოს ნებას იმის აღნიშვნით, რომ 14 მაისი – თამარობა, მისი ღირსების მიმდევარ ქართველ ქალთა ერისქალობის დღედ დაწესდეს. ასევე 6 მაისი – გიორგობა – საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლ და მოღვაწე მამულიშვილთა ერისკაცობის დღედ. ამით ისიც ითქმება, რომ მხნეობა და ზნეობა წარსულს არ ჩაბარებია, ჩვენ ღირსეული წინაპრების ტრადიციას ისევ ვაგრძელებთ.

სადღესასწაულო დღეებს: "გიორგობას" და "თამარობას" ამიერიდან დაერთოს პიროვნული ღირსების აღმნიშვნელი სახელიც:

6 მაისი – გიორგობა – ერისკაცობის დღე;
14 მაისი – თამარობა – ერისქალობის დღე;

---

## (SOS!!!)
# მოზარდების სერიული მკვლელობები თბილისში

საქართველოში, ბოლო ორი წლის განმავლობაში გახშირდა და იმატა მოზარდთა მკვლელობების ფაქტებმა, ხოლო უკანასკნელ ერთ თვეში ამ ულმობელმა დანაშაულმა ლამის სერიული სახე მიიღო. ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს 15 წლის ნიკა ჩარქსელიანი, დანით მოკლეს 17 წლის ბექა მაღლაკელიძე, ასევე დანით სასტიკი წამებით (ოცამდე ჭრილობით) მოკლეს 14 წლის სალომე მამაცაშვილი, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს 15 წლის ნიკა ბუსკანძე. ოთხივე შემთხვევაში მკვლელები თანატოლები ან ოდნავ უფროსები არიან და თაყიანთი მსხვერპლის ახლო მეგობრებად ითვლებოდნენ.

მოზარდთა სისასტიკე და დანაშაულობები, დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან ერთად, განპირობებულია ტელევიზიებში მომრავლებული საშინელებათა, ძალმომრეობითი და პორნოგრაფიული ფილმების ჩვენებებითა და ამგვარი ხასიათის ჟურნალ-გაზეთების მომრავლებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდების აღზრდასა და მორალურ-ფსიქოლოგიური სახის ჩამოყალიბებაზე.

ამგვარი საგანგაშო ვითარების ფონზე აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება მასმედიის საშუალებებით წარმოებული კინო და გართობის ინდუსტრიის მიმართ, რათა მისმა მავნე ზემოქმედებამ არ იმსხვერპლოს და სრულად არ მოსპოს ჩვენი მომავალი.

# ..."და ვუბარებ ყოველ ქართველს"

ირაკლი აბაშიძის ეს უკვდავი სტრიქონები – "და ვუბარებ ყოველ ქართველს: მისი წმიდა ვალი არი – მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას დერბენტი და დარიალი". დღესაც სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. დერბენტზე რომ არაფერი ვთქვათ, დარიალი ხომ დღესაც მკერდით გვაქვს შესაკრავი, მიუხედავად იმისა, ფაშისტი ოკუპანტები კარგა ხანია გადაშენდნენ.

პირადად თქვენი მონა-მორჩილი 80 წელს გადაცილებული მიხეილ ჩაჩუა (იგივე მიხა კოლხი) აი რას ვუბარებ ჩემს თანამემამულეებს, ჭეშმარიტ მამულიშვილებს: სამშობლოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის დაისაჯოს ყველა! არავითარი დანდობა კანონიერი, ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის, წმინდანად შესარაცხი ზვიად გამსახურდიას დამამხობელთა და მკვლელებს! დიახ, ზვიად გამსახურდიას მკვლელები გახლავთ სამშობლოს მოღალატეთა, ავაზაკთა და ბანდიტთა მთელი ლეგიონები (სულ ცოტა ორი-სამი მაინც) უმთავრესი მკვლელის, საქართველოს ყველა დროის ყველაზე დიდი მოღალატის ედუარ შევარდნაძის მეთაურობით. მთავარ მკვლელთა და ქვეყნის ამაოხრებელთა შორის არიან, რა თქმა უნდა, ყოვლად შერცხვენებული თენგიზ სიგუა, საქვეყნოდ ცნობილი ბანდიტი და პუტჩისტი ჯაბა იოსელიანი, რომელსაც, თავის "მხედრიონელებთან" ერთად, ყველაზე მეტი ქართველის სისხლში აქვს გასვრილი ორივე ხელი. დანაშაულია, ასეთი დამნაშავე დიდების პანთეონში განისვენებდეს. ერთ-ერთი მთავარი მკვლელის "სტატუსს" ვერავინ შეუცვლება გონებაჩლუნგ თენგიზ კიტოვანს, რომელმაც სიკვდილის წილ უსინდისოდ უღალატა ზვიად გამსახურდიას და ამით მთელ ქვეყანას უმტრო.

მთავარ პუტჩისტთა გვერდი-გვერდ იდგა გიორგი ჭანტურია = ირინა სარიშვილის დუეტი და ეს არ უნდა დაგვავიწყდეს. უფრო მეტიც, სწორედ ჭანტურია-სარიშვილის დემოკრატიული პარტია გახლდათ პუტჩისტური გადატრიალების სათავესთან. გავიხსენოთ ამ პარტიის მიერ 1991 წლის 2 სექტემბერს ორგანიზებული პროვოკაციული აქცია (ნურც მის მიერ ჩახერგილ რუსთაველის პროსპექტს დავივიწყებთ), რომელიც ფაქტობრივად პუტჩის უვერტიურად იქცა.

მართლაცდა დასამახსოვრებელი "დუეტი" შეასრულეს მთავრობის სასახლის წინ სიგუამ და სარიშვილმა პუტჩის დაწყებამდე, 1991 წლის 21 დეკემბრის ღამეს, რისი ცოცხალი მოწმეც თქვენი მონა-მორჩილი გახლდით. შეიარაღებული ბანდის თანხლებით მოსული ზვიად გამსახურდიას მოძულე ამ უბოროტესი წყვილიდან "დუეტი", თენგიზ სიგუამ დაიწყო, რომელიც მაყრო ავტობუსში საიმედოდ მოყუჩებული-ყო. მუქარითა და ლანძღვა-გინებით დახუნძლული გამოსვლა, მან ამ სიტყვებით დაასრულა – "არ გაგითენებთ ახალ წელს!" მისი გამოსვლა არანაირად, არ ჰგავდა ნორმალური, ფხიზელი კაცის გამოსვლას. ირინა სარიშვილმა, აიტაცა რა კოლეგის ბოლო სიტყვები, ტრიბუნაზე შემდგარმა საქართველოს პრეზიდენტს, ტყვიასავით ესროლა: ხუთი წუთის ვადას გაძლევთ, თუ არ გადადგები, ვიწყებთ მოქმედებასო...

მართლაცდა დროა დაიწყოს "მოქმედება" ყველა ზღვარს გადასული ამ ქალბატონისა და მისთანათა მიმართ, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულობანი აღემატება ყველას და ყველაფერს.

მოძაგალ თაობათა განსასჯელად რამდენიმე ფაქტს მოვიყვან.

1992 წლის 6 იანვარს დევნილ პრეზიდენტს დასაჭერად გაეკიდნენ და სომხეთამდე სდიეს გიორგი შენგელაიამ, ვახტანგ კიკაბიძემ, გიორგი ხაინდრავამ.

ვახტანგ კიკაბიძე და გიორგი ხაინდრავა სამხედრო საბჭოს მიერ სომხეთში გაგზავნილ იმ დელეგაციაში შედიოდნენ, რომელმაც ულტიმატუმი წაუყენა სომხეთის ხელმძღვანელობას ზვიად გამსახურდიას გადმოცემის შესახებ. კიკაბიძე-ხაინდრავასთან ერთად დელეგაციაში შედიოდნენ: ელდარ შენგელაია (დელეგაციის ხელმძღვანელი) ჭაბუა ამირეჯიბი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ქალაქის პროკურორი ლევან ყიფიანი.

საკუთრივ ჭაბუა ამირეჯიბზე, ამ ბნელი წარსულის მქონე მწერალზე, რომელმაც ზვიად გამსახურდიას მოძულე შვიდ ტიპთან – ვიქტორ რცხილაძესთან, ემზარ კვიტაიშვილთან, გურამ ბენაშვილთან, მანანა გიგინეიშვილთან, ნოდარ ლომოურთან, თემო გოცაძესთან, თამაზ კვაჭანტირაძესთან და ჯუმბერ თითმერიასთან ერთად – ხელი არ მოაწერა ზვიად გამსახურდიას რეაბილიტაციას, აი რას ვიტყოდი: ვერანაირი დათა თუთაშხია ვერ უშველის სამარადჟამოდ შებღალულ მის სახელს, ბარემ აქვე ვიტყვი ამასაც: ვერც "ვეფხისტყაოსანის" არაადამიანურად შეურაცხმყოფელ რობერტ სტურუას უნდა უშველოს დიდმა რეჟისორობამ და ვერც ჩვენი ერის მტრის კადიროვის ძეგლის შემქმნელ ზურაბ წერეთელს დიდმა მოქანდაკეობამ. უბრალოდ ისმის ასეთი კითხვა: შეიძლება ერმა აპატიოს ვინმეს, ვინც უნდა იყოს იგი, ერის



შეურაცხყოფა?

არ უნდა დაივიწყოთ და საგანგებო "პატივიც" მიაგოთ, ჩემო თანამემამულენო, მამულიშვილნო, უკლებლივ ყველას, ვინც ედუარდ შევარდნაძე ციმციმ ჩამოიყვანა მოსკოვიდან (ქართლოს ღარიბაშვილი და ვალერი კვარაცხელია), ხოლო თბილისის აეროპორტში გულის წასვლამდე აღფრთოვანებით დახვდა მზის ჩრდილოეთიდან ამომყვანს ოცი სახელოვანი "ინტელიგენცია". მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწუხებ, ვინაიდან მათი სახელ-გვარები მკაფიოდაა აღბეჭდილი უახლოესი ისტორიის ფურცლებზე. მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვა, რომ დამხვედურთა შორისაც ფიგურირებენ ისევ და ისევ ელდარ შენგელაია და გოგა ხაინდარავა, და, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარნაძის დიდი მეგობარი ჯანსულ ჯარკვიანი. თუმცა დასაზუსტებელია, მწერლებიდან (პოეტებიდან) ვინ უფრო დიდი მეგობარი იყო ამ არაკაცისა, ჯანსულ ჩარკვიანი თუ რეზო ამაშუკელი, ტარიელ ჭანტურია თუ თამაზ წივწივაძე, მურმან ლებანიძე თუ... შორს აღარ წავალ, იმას კი რატომ არ ვიტყვი, რომ მლიქვნელობაში ვერავინ სჯობნიდა ღირსება აყრილ მურმან ჯგუბურიას. და მაინც ედუარდ შევარდნაძესთან არა მგონია ისე შეთამამებული ყო-



ფილიყოს ვინმე, როგორც თამაზ წივწივაძე – ზუსტად ისე, როგორც მასხარა მეფესთან. კვაჭანტირულ მასხარას შეეძლო, მაგალითად, ასეთი რამ ეთქვა შევარდნაძისთვის: რაკი თოფი გიჭირავს ხელში, უნდა გაისროლო კიდეცო. ან კიდევ: შენ რომ მანქანა მაჩუქე, მოძველდა და დროა ახალზე იზრუნოთ... ვინმეს ხუმრობად არ ეჩვენოს, რაც ვთქვი; წივწივაძეს ისეთი რამის თქმაც შეეძლო შევარდნაძისთვის, ფიქრადაც კი ვერ გაიელვებდა ვერც ერთი მინისტრი.

შევარდნაძის მემკვიდრე სააკაშვილსა და მის დამქაშებზე – ამ პირწმინდა ანტიეროვნულ ელემენტებზე, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან ბოკერია და ლომაია, ნოღაიდელი და მერაბიშვილი, ადეიშვილი და კუბლაშვილი, მაია ნადირაძე და გივი თარგამაძე, კირკიტაძე და კეზერაშვილი... – ისინი უნდა დაისაჯონ კანონის მთელი სისასტიკით ხალხის მოტყუებისა თუ თაღლითობისათვის, ქვეყნის სიწმინდეების შებღალვისა და სხვადასხვა ჯურის სექტანტების მომრავლებისა და ხელშეწყობისათვის, ეროვნულ ფასეულობათა მიმართ უხულგულო დამოკიდებულების, განათლებისა და მეცნიერების ლამის დასამარებისათვის.

დაე, მიეზღოს საკადრისი საქართველოს, ქართველი ერის შეურაცხმყოფელთ და დამამცირებელთ!

წინ – გამოღვიძებული, ნათელი საქართველოსკენ!

**მიხეილ ჩაჩუა**

**მინაწერი:**

2007 წლის 18 მაისს ცნობილი გახდა, რომ ხელვაჩაურის რაიონში დაანგრიეს მშენებარე მართლმადიდებლური ეკლესია. ეს იმ სააკაშვილის ვანდალებმა ჩაიდინეს, რომლებმაც 2004 წელს სატვირთო მანქანით შელეწეს გლდანის მართლმადიდებლური ტაძრის კარიბჭე, დაანგრიეს ტაძარი და ფეხქვეშ გათელეს წმინდანთა ხატები.

ჩვენი დროის ჯალალედინ მიხეილ სააკაშვილს, ჩვენ თუ მართლა ერი ვართ, არამც და არამც არ უნდა ვაპატიოთ ეს გაუგონარი მკრეხელობა. საყოველთაო შეჩვენება, პრეზიდენტის პოსტიდან დაუყონებლივ გადაყენება და საქართველოდან გაძევება! – ეს იქნებოდა ქართველი ერის მიერ გამოტანილი ყველაზე სამართლიანი განაჩენი საქართველოსათვის სამარცხვინო, პრეზიდენტად წოდებული მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

მ. ჩ.

# დიდოსტატი



როცა ქართველ მოღვაწეზე – დიდოსტატი ამბობენ, პირველ რიგში, უყოყმანოდ კონსტანტინე გამსახურდიას გულისხმობს ყოველი ჩვენთაგანი.

არა იმიტომ, რომ მისი ერთ-ერთი ნაწარმოების სათაური ასოცირდება ამ წოდებასთან, არამედ დიდი ერისკაცისა და მწერლის სახელს ზედმიწევნით ესადაგება.

დიდოსტატი, როგორც თავად აცხადებს, – მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარის – ზანას ნაპირას დაიბადა და მამის შეგონებას, – დიდი მდინარის პირად გაზრდილებმა არ გაჯობონო! – მიზანდასახულად ახორციელებდა წამებით სავსე ცხოვრების გზაზე... ვერ აჯობეს!

საზეიმო საღამოზე იუბილარისადმი წარმოთქმული სიტყვა ხშირად ჩარჩოებში ვერ ეტევა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში თამამად ნათქვამი, – უდავო სიმართლეა.

სულმნათ კონსტანტინეს სიცოცხლეში ოფიციალურად გადახდილ უკანასკნელ საიუბილეო საღამოზე პოეტმა ვიტალი კოროტიჩმა სტუმრებით სავსე დარბაზს გამომწვევად მიმართა – ჩვენ, სლავებს ამ საუკუნეში კონსტანტინე გამსახურდიაზე დიდი მწერალი არა გვყავს. აბა, დაასახელეთო!

დარბაზში სლავი მოღვაწეების ნაკლებობა არ იგრძნობოდა, მაგრამ პროტესტი არავის განუცხადებია. და ეს მარტო სტუმრის ზნეობის დაცვით როდი იყო გამოწვეული.

კონსტანტინე გამსახურდია ფართო აუდიტორიის წინაშე ფრიად განსწავლული და მოაზროვნე წარსდგა. რაც მთავარია ჯანსაღ ეროვნულ ნიადაგზე მდგარი. ის დახაქცევი 1921 წლის 25 თებერვალის დღეს, როცა ქართველი ერის მოღალატე სერგო ორჯონიკიძე ლენინსა და სტალინს უპატაკებდა – თბილისის თავზე საბჭოური წითელი დროშა ავაფრიალეთო. შავჩოხოსანი, ერზე მგლოვიარე კონსტანტინე ბეთანიის სასაგდრო წიგნში ასეთ ჩანაწერს აკეთებს: "ვიყავი ბეთანიას. თაყვანი ვეც თამარს! კონსტანტინე გამსახურდია 1921 წლის 25 თებერვალი".

სიტყვა განსწავლულობა ვახსენეთ, კონსტანტინეს მწერლობაში ალბათ ბადალი არ ჰყავდა ამ მხრივ.

ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკადემიკოსმა ზახოდერმა, როცა იგი გაეცნო ტეტრალოგიას "დავით აღმაშენებელი"., ერთ-ერთი ტომის შესახებ განაცხადა: – მხატვრული თვალსაზრისით იგი შედევრია. ამავე დროს დამხმარე სახელმძღვანელოდ გამოდგება ისტორიის ფაკულტეტებზეო.

ციხე, გადასახლება და ხელისგრეხა არ მოკლებია დიდოსტატს. აქ სახსენებელიც არაა გოშია კრიტიკოსების კბილთაღრჭენა.

ვაჟკაცობის და გამბედაობის ნიმუში იყო კონსტანტინეს მიერ გაგზავნილი საჯარო ბარათი ლენინისადმი, სადაც იგი კატეგორიულად მოითხოვდა საბჭოთა რუსეთის ჯარის გაყვანას საქართველოდან.

პასუხმა არ დააყოვნა – ციხე და ციმბირში გადასახლება.

დიდოსტატი კალამით და სიტყვით ებრძოდა ტირანულ იმპერიას. კიდევ კარგი, რომ ბევრ მისგან შეფარულ ნათქვამ შეგონებას თუ ფრაზას ბოლომდე ვერ წვდებოდნენ მაუზერიანი იდეოლოგები, თორემ არ აცოცხლებდნენ.

თუნდაც ერთი ფრაზა გავიხსენოთ რომანიდან: "ამბობენ, როცა კამეჩი გაიქცევა, ქვეყანა გადაბრუნდებაო" და საბჭოთა იმპერიის დასამხობად სანატრელი დასკვნა: "ნეტავი გაიქცეოდეს კამეჩიო". და ეს იწერება მაშინ, როცა განუკითხავად ხვამდნენ უდანაშაულო ადამიანთა სისხლს.

სავსებით დარწმუნებული ვარ, – ახლა, როგორც წინათ "ვეფხისტყაოსანს" ატანდნენ მზითევში პატარძალს, დიდოსტატ კონსტანტინეს ნაწარმოებებიც შევიდოდა სამზითვო სიაში.

მართალია ქართველი ერი ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ გამოაღვიძა ქვეყნის თავისუფლებისათვის, მაგრამ იგი კონსტანტინეს შეგონებებითა და შეძახილებით შინაგანად ძალფეხილობდა.

დიდოსტატის ისტორიული გმირები მუდამ სამშობლოსა და თავისუფლებისათვის ბრძოლასა და ფიქრში არიან. ქვეგამხედვარები და სხვათა სამსახურში მყოფნი ზიზღსა და სირცხვილს იწვევს მკითხველში.

ყველა მათგანი ცოცხალ კავშირშია ჩვენთან წარსულის უტყუარი ფონით.

საბჭოური ეპოქის გმირებიც მშობლიურ ნიადაგზე დგანან და ეროვნულ ღირსებას იცავენ იმპერიის მსახურთაგან. ისეთი საბჭოთა მოხელეებისაგან, რომელიც საკუთრ მამასაც კი იმეტებს მოსაკლავად. კომუნისტს მამა მოაკვლევინა მწერალმაო – ჯვარს აცვეს იმპერიის ქადაგებმა და კრიტიკოსებმა.

კონსტანტინე გამსახურდია მარადიულ დიდოსტატად დარჩება ქართულ მწერლობასთან ერთად. მთელი ერის მოძღვარი და უცდომელ ნიადაგზე მდგარი ქადაგი. ამიტომაც არ დაინდეს უკვე საუფლოში მყოფი და მისი საფლავი იავარყვეს, ხოლო "კოლხური კოშკი", როგორც ეროვნული იდეის სიმბოლო დაწვეს და დაანგრიეს, მწერლის არქივი, საოჯახო ნივთები კი ცეცხლს მისცეს, სამშობლოს გამყიდველებმა. "გამარჯვებულს" – ამ ქვეყნიდან წასულია რომ გეშინია, – ეს "დამარცხებულის" უძლეველობასა და უკვდავებაზე მეტყველებს.

დიდოსტატის მიურძალებული ქება კი პოეტის სიტყვებით გვსურს დავასრულოთ:

"... ვით დაჭრილი მეკიხოვნე, ჭირის ოფლგადასხმული,
დიდოსტატის მარჯვენაზე გისვენია წარსული.
გადმოდგება ქართულ მთებზე დილა საიადონო
და ქუდს გიხდის საქართველო კონსტანტინე ბატონო".

რეზო ურუშაძე

## ოპოზიცია სააკაშვილის გადადგომასა და მისი ხელისუფლების დემონტაჟს მოითხოვს

პარლამენტისა და კანცელარის შენობების წინ სულ უფრო ხშირად იმართება გაერთიანებული საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის მრავალრიცხოვანი მიტინგები სააკაშვილის გადადგომის, მისი ხელისუფლების დემონტაჟისა და საქართველოს არასაპრეზიდენტო, არამედ საპარლამენტო რესპუბლიკად გამოცხადების მოთხოვნით.

სააკაშვილი და მისი მმართველი პარტია, ჯერჯერობით ოპოზიცის, არც მიტინგებზე და არც მათ მოთხოვნებზე რეაგირებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე მოამზადა კანონპროექტი მიტინგების ადმინისტრაციული შენობებიდან რამდენიმე მეტრით ჩატარების შესახებ, რაც ფაქტიურად, მიტინგების აკრძალვას ნიშნავს. ოპოზიცია არ აპირებს ამგვარი კანონის მორჩილებას და აცხადებს, რომ უფრო ინტენსიურად და უფრო მრავალრიცხოვან მიტინგებს მოაწყობენ დიქტატორი და ანტიხალხური ხელისუფლების წინააღმდეგ.

მომავალი 2008 წელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წელია და რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მით უფრო გააქტიურდება ოპოზიცია. არ არის გამორიცხული, რომ იგი იმდენად გაძლიერდეს, შესაძლებელი გახდეს სააკშვილის მმართველი პარტის დამარცხება, რომლის რწმენა და იმედი ხალხს უკვე საკმაოდ შერყეული აქვს.

## მოუსვენ ძვლები

*ზვიად გამსახურდიას საქართველოში გადმოსვენების გამო*

გასულან წლები... მთებს ეკვრის ჯანღი,
კუბოს ფიცართან რახუნობს ძვლები,
შენ მიგაცილებს თავდახრით ხალხი,
შორეთში ყოფნის გასულან წლები.

ბოლმა... წანწალი ტყესა და ღრეში,
უიმედობა, შიმშილი, დევნა...
ცოტაღა გედგა ერთგული გვერდში,
იმ დღეთა ბალღამს ვით აღწერს ენა.

ეშმაკ – "თბილ" მხერით კვლავ ძიღბება,
ალუკულეთ ლოცვას დღისით და ღამით,
აწ ჩოხოსანთა მგზნებარე ხმები
გამკობს ერისთვის შეწირულს რაინდს.

მგოსანიც გიძღვნის მას შეუბღალავს,
ამდენხანს ღვიძლი არ გერგო მიწა,
დაგაფარებენ შინდისფერ ალამს,
გულებში წინწკლი ქარცეცხლად იქცა.

შორეთში წოლით გასულან წლები,
მოგნატრებია მამული ძლიერ,
კუბოს ფიცართან რახუნობს ძვლები,
მიუხვალ მალე ძმას ქრისტესმიერს.

ვახტანგ გოგიჩაიშვილი

# საქართველოს გურამ შარაძე მოუკლეს!

გურამ შარაძე მოკლეს!

თავზარდამცემი იყო ამ ტრაგიკული ცნობის გაგება!

შემაძრწუნებელი იყო ხილვა ქუჩაში უსულოდ გებული ბატონი გურამის ცხედრისა!

ეს მერამდენედ გაგტკინეს სული, ეს მერამდენედ მოგვკლეს გული, ეს მერამდენჯერ დაგვაზალეს ტყვია!

საქართველოს კვლავ უკლავენ ერთგულ შვილებს! კვლავ კლავენ საქართველოს!

საქართველოში დღეს ყველგან წიწამური, ბორითი, ტყვილი ხიბულა და მელიქიშვილის გამზირია!

საქართველოს მოუკლეს სარანგი მართლმადიდებლობისა, ქომაგი დედა-უნი-



ვერსიტეტისა, ქადაგი ეროვნული თვითმყოფობისა!

საქართველოს მოუკლეს ერთგული დავითელი, ილიელი და ზვიადელი!

საქართველოს მოუკლეს პეროსტატებისაგან გადამწვარი კოლხური კოშკის მეურვე, კონსტანტინე გამსახურდიას არქივის გადამრჩენელი.

კვლავ დაახალეს ტყვია ქუჯის და ფარნავაზის, წმინდა მირიანისა და წმინდა ვახტანგ გორგასლის, წმინდა დავით აღმაშენებლისა და მეფეთმეფე, ყოველ ქართველთა დიდი დედის წმინდა თამარის, წმინდა დემეტრე თავდადებულისა და წმინდა გიორგი ბრწყინვალის საქართველოს!

იარას იარაზედ გვიმატებენ! სისხლისგან გვწრეტენ!

ნუთუ შემოგვიწყრა მაცხოვარი და ღვთისმშობელი?! რა ჯოჯოხეთი დატრიალდა ჩვენს თავზედ?!

ყოველდღე ტირის საქართველო, ყოველდღე ატირებენ ქართველთ!

ეს მერამდენედ აგდებენს ეშაფოტზედ უბედური მამული ჩვენი?!

როდემდის?! სადამდის?! ნუთუ აღარ არის სამანი და საშველი?!

ჩვენთვის, უცხოეთში გადახვეწილ-გახიზნული ქართველებისთვის ორმაგად სამძიმო და სამწუხაროა, რომ ვერ ვესწრებით საერთო ეროვნულ გლოვასა და სატირალს, როცა ვერ მიაგებ პატივს მამულისათვის შეწირულ ერისკაცებს.

ვერ მოგვენულებინა ტკივილი, რომ ვერ ვესწრებოდით ჩვენი წამებულის, ნეტარი პრეზიდენტის ცხედრის ჩამოსვენებას და აგერ, ჯერაც არ გადამშრალა საფლავის ბორცვი წმინდა მთაზედ, კვლავ დაგვსაჯეს! ავაზაკურად მოგვკლეს სალსალამათი, სულმაღალი ქართველი კაცი!

ვერ გაგტეხეს, ვერ მოგდრიკეს, გრძნობა ვერ შეგაცვლევინეს მოზღვავებული ავით, ვერ დაგადუმეს სამშობლოს ძნელბედობას შერყინებული სახელოვანი უცილისციხელი, შეილმოკლული მამა!

დაუმსახურებელი გკადრეს, დილეგში რამდენჯერმე გამოგამწყვდიეს და ბოლოს ტყვიაც დაგახალეს!

უცხოეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ერთიოდე წლის წინ ვაარსებდით ქართული კულტურის ცენტრს, ორგანიზატორთა საერთო სურვილი იყო ცენტრს საქართველოდანაც ჰყოლოდა წევრად ქართული კულტურის: მწერლობის, მეცნიერებისა დ ხელოვნების ამაგდარი მოღვაწენი. სურვილის განახორციელებლად და რჩევისათვის მივმართეთ ქალბატონ ლეილა ცომაიას, გავანდეთ ჩვენი სამომავლო გეგმები, ვთხოვეთ შეერჩიათ კანდიდატურები.

ქალბატონმა ლეილამ მოგვიწონა განზრახვა, ამ მამულიშვილურ საქმეში დიდ დახმარებას ბატონი გურამ შარაძე გაგიწევთო, შემოგვთავაზა, აგრეთვე დანარჩენ წევრთა კანდიდატურებიც.

ჩვენი გულისთქმა ერთმნიშვნის დაუძიზა ბატონი გურამ შარაძის პიროვნების მიმართ.

დაუუკავშირდით ბატონ გურამს, გავაცანით ჩვენი სამომავლო გეგმები და განწყვეტილება, ვთხოვეთ დაედო პატივი და გამხდარიყო ჩვენი მომავალი ორგანიზაციის წევრი, ის ჩვეული თავმდაბლობით, სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენს წინადადებას, პატივცემულმა მეცნიერმა მადლობაც კი გადაგვიხადა, დაგვლოცა და გვითხრა: თქვენ კიდევ ერთი სტიმული შემატეთ ჩემს მძიმე ცხოვრებას და არსებობასო. ეს მისი გულიდან ამოსული სიტყვები იყო.

სამწუხაროდ, ემმას მოციქულებმა არ დაგვაცალეს!

ორგანიზაცია რეგისტრაციაში გავატარეთ, მივიღეთ არსებობის ნებართვა, მოვ რძალებული პრეზენტაციაც გავმართეთ. დამსწრე საზოგადოებას, ქართველებს და ჩვენს მასპინძლებს გავაცანით კულტურის ცენტრის პირველი წევრები, თავს ვიწონებდით უცხოელი მასპინძლის წინაშე, რომ ჩვენი ორგანიზაციის წევრი იყო შესანიშნავი ადამიანი, გამორჩეული ქართველი მეცნიერი და მგზნებარე პატრიოტი ბატონი გურამ შარაძე!

მან გულის ფიცარზედ დაიბეჭდა დიდი ილიასეული „ენა, მამული, სარწმუნოება", სხვა რამ დიდება ამქვეყნიური არ ნდომებია, არც ოდეს!

ჩვენ, სულის სიმხნევეს, იმედსა და რწმენას გვმატებდა თქვენი საჯარო გამოსვლები, საგაზეთო წერილები თუ პუბლიკაციები, მოითმენლად ველოდით მათს გამოჩენას, სულს მალამოდ ედებოდა, გვეიმედებოდა უზნეობასთან, უმეცრებასთან და უწმინურობასთან ბრძოლა ქველი რაინდისა.

შორეთიდან მუხლს ვიდრეკთ თქვენი სპეტაკი სულის წინაშე ჩვენო უფროსო ძმავ და მეგობარო, კარგო ქართველო, მართალო კაცო, დიდო მეცნიერო და სათაყვანო მამულიშვილო!

ზეციურ საქართველოში, დიდ ქართველთა წმინდა სავანეში პირველი მოგეგებებათ თქვენთვის საყვარელი და სათაყვანო, ყველის გვირგვინოსანი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ნეტარი ზვიად გამსახურდია, რომელსაც ბოლომდის, სამარის კარამდის ეერთგულეთ და პირნათლად მოიხადეთ თქვენი მამულიშვილური ვალი.

ვგვლავ, რომ ამიტომ დაგსაჯეს ქეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი და ერთგული მეციხოვნე კოლხიმერია მოდგმისაც!

თქვენ მამულისთვის ბრძოლის ველზედ დაეცით!

თქვენი ეშინოდათ ემმას ნაშიერთ, ეშინოდათ იმიტომ, რომ დიდი ილია მართლის, წამებული ზვიადის გზას მედგრად ადექით, ამიტომაც მოგისწრაფეს ტანჯული სიცოცხლე, მოგაკვდინეს და ვერ დაგამარცხეს!

თქვენებრ ტანჯული სამშობლოდან გამარჯვებული მიდიხართ სამუდამო სავანეში, დღეს კიდევ ერთხელ გრდაიხსნება საქართველოს ცის თაღანი!

გვწამს, თქვენი სპეტაკი სული მარად ილოცებს ეული და ბედკრული ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად და მარადჟამს იგიზგიზებს მამულის საკურთხეველზედ!

მშვიდობით, ია და ვარდი გფენიათ დიდ წინაპრებთან ამავალ გზაზედ!

ავსტრიაში ემიგრირებული ქართველების სახელით –
ჯულიეტა სამუშია

**სრულიად საქართველოს! მაცოცხ გურამ შარაძის ოჯახს!**

სულდამძიმებულები გულისტკივილით ვიზიარებთ საერთო ქართულ მწუხარებას ერთგული მამულიშვილის, აკადემიკოს გურამ შარაძის გარდაცვალების გამო.

ავსტრიაში დაარსებული ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელმა ქართველებმა ცენტრის საპატიო პრეზიდენტად დიდი სიამაყითა და პატივისცემით ერთხმად დავასახელეთ ბატონი გურამ შარაძე! ვაგლახ, რომ არ დაგვაცალეს მამულის საკეთილდღეოდ ერთობლივი მოღვაწეობა!

უცხოეთში მცხოვრები ქართველები გულწრფელად და ალალად ვიზიარებთ ოჯახისა და ქვეყნის ტკივილს, მართალ ქართველთა ცრემლებს თან ერთვის ჩვენი ცრემლებიც!

დაივანე სამარადისო სასუფეველში მამულისთვის ტარიგად შეწირულო მართალო კაცო!

მდუმარებით მუხლს ვიდრეკთ თქვენი სპეტაკი ცხედრის წინაშე!

ავსტრიის ქართული კულტურის ცენტრი „აია".

**რედაქციისაგან:** ავსტრიის ქართული კულტურის ცენტრის „აიას" სპეციალური შეკვეთით ქაშუეთის ეკლესიაში დასვენებულ ბ-ნ გურამ შარაძის ცხედართან მიტანილ იქნა გვირგვინი სახელობითი ადრესით, ხოლო ლენტის უკანა მხარეს ვაჟას პატრიოტული ლექსის სტრიქონის ციტირებით: „ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვბუბუნებ".



# მოგონება ირაკლი ჩხეიძეზე



უკვე წელიწადია, რაც ირაკლი აღარაა. ცოცხლად დარჩენილთაგან იგი ვერავინ შეცვალა. ერთი შეხედვით, ეს რაფინირებული ახალგაზრდა კაცი კეთილდღეობისათვის იყო გაჩენილი, არადა ეროვნულ მოძრაობაში ჩაება, ხელისუფლებაშიც იყო და მისი ძალისმიერი დამხობის შემდეგ აქტიურობით უფრო თვალსაჩინო გახდა. მისი ბუნებისთვის ღალატი შეუფერებელი იყო. ეროვნული მოძრაობაც – ღირსეულთა გაწევვად იქცა სამშობლოსა და მისი უფლებების დასაცავად. მოძმრეთა სიმრავლემ ცხადყო, რომ ხალხიც იმას ელოდა, რასაც მოღვაწეები და სისხლის ყივილი ჰკარნახობდა.

ზვიად გამსახურდიას დაკრძალვაზე მოსულმა ქართველებმა "ხალხის" ცნებას ისევ დაუბრუნეს საპატიო მნიშვნელობა. ამ სიმრავლეში მისი სულიერების მაღალი ხარისხი იყო, რის გამოც მოწინააღმდეგენიც კი შურით აღნიშნავდნენ: მათ თურმე ერთმანეთი ჰყვარებიათო. არც ამით ამოიწურებოდა ერთობის შინაარსი. ჩვენ სამშობლო გვიყვარს ერთნაირად და მისთვის თავდადებულნიც ერთნაირად ვართ. ვინ ჩამოთვლის ჩვენი რიგებიდან რამდენი შეეწირა ამ გრძნობას, – გაიარა ციხე, წამება, უმუშევრობა, დევნა, დაფანტვა.

ჩვენთვის დაუვიწყარი ირაკლი ჩხეიძე კანონიერი ხელისუფლებისა და შეფიცულ თავად-აზნაურთა წარმომადგენელი იყო. ეს წრე მას ძმას და მეგობარს უწოდებდა. შვილი და მამაც შეუდარებლად თბილი და ალერსიანი, ძმობა-მეგობრობაში რაინდული ეტიკეტის ერთგული დამცველი იყო. ჩვენში ასე პატივდებული რაინდობა ჯვაროსნული ლაშქრობებისთვის არ შექმნილა. იგი უფრო ეროვნულ ზნედ, კეთილ და ამაღლებულ საქმეთა მოქმედ ადამიანებზე მიუთითებდა ძმობად წოდებული ერთგული მეგობრობის თვისება შორიდან მოგვდგამს, იქნებ, VI ს-ის ასურეთიდან ჩამოსულ ქართველ მამათაგან დაგვეწყო ათვლა, რასაც VIII ს-ში ხანძთელის ძმობა მოყვა. ურთიერთობის ამ მუხტმა XII ს-ში ვეფხისტყაოსნის ძმადნაფიცობით მოხიბლა მსოფლიო მკითხველი. XIX ს-ში თერგდალეულებმა აამაღლეს ეროვნული თვითშეგნება, XX ს-ის დასაწყისში ცისფერყანწელთა ორდენის კავალრებმა ჩიხიდან გამოიყვანეს ეროვნული კულტურა, XX ს-ის დასასრულს ზვიადისტებმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს... ყველა შემთხვევაში ხალხი და წინამძღოლი ერთი მიზნით იყო შეკავშირებული.

თუ ზოგიერთ ძმობას ხელისუფალთაგანაც ჰქონდა ხელშეწყობა, XIX ს-დან მას ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლა დაეკისრა; რეპრესიების წყებამ ჭეშმარიტი მამულიშვილები შეიწირა. აჯანყებებმა და შეთქმულებებმა თანაბრად გაამჟღავნეს ერის სულისკვეთება ფეოდალური არისტოკრატიისა და გლეხისა.

ჩვენს ეროვნულ ხელისუფლებაში მოსახლეობის ყველა ფენა იყო წარმოდგენილი. არისტოკრატი წინამძღვარიც გვყავდა და ირაკლის დასახელებაც არ ჭირდა. ვგავდით თუ არა ჩვენს ღირსეულ წინაპებს – ამას ისტორია განსჯის, მსხვერპლი კი ყოველნაირი გავიღეთ – ბევრი დაგველუპა.

ირაკლის გვერდით მყოფებს კარგად ემახსოვრებათ, როგორ აერთიანებდა იგი საქართველოში გაბნეულ ეროვნულ ძალებს. იყო დაუზარელი მოკავშირე და მრავალი ღონისძიების აქტიური მონაწილე.

თავაზიანს და მოყვარულს, სამართლიანობისათვის ბრძოლაში განრისხებაც შეეძლო, რადგან ბრძოლის ჟინი კიდევ უფრო ცხადჰყოფდა მის რაინდულ შემართებას.

ვიდრე არ ჩამოაშორებდნენ, ირაკლი თან ახლდა პრეზიდენტს თბილისში და ზუგდიდში. უზენაეს საბჭოდან გასულ დეპუტატების ავტობუსს ბარათაშვილის ხიდთან ტყვიები დაუშინეს. დახოცილთა და დაჭრილთა სისხლი იღვრებოდა მანქანიდან. ირაკლი მიამბობდა ამ შემზარავი დაპირისპირების შესახებ, სადაც მეორე მხარეს, თურმე, ცნობილი სპორტსმენებიც ირჯებოდნენ. ცოცხლად გადარჩენილი ირაკლის ფეხსაცმლის სქელი ლანჩა ისე გაჟღენთილიყო თანამებრძოლების სისხლით, რომ ნაკვალევს დიდხანს ტოვებდა. მოძალადე მთავრობამ სისხლის გუბეები გათენებამდე ჩარეცხა მტკვარში. სამოქალაქო ომად მონათლული ეს დაპირისპირება მათივე წამოწყებული იყო და ფიზიკური ჭრილობის გარდა ისეთ მორალურ ზიანს აყენებდა ერის მეობას, რომ მის გადატანას ათეული წლები არ ეყოფოდა. აქედან დაიწყო ახალგაზრდა ირაკლი ჩხეიძის გულის ცვეთა, როცა ყუმბარებს უშენდნენ უზენაესი საბჭოს შენობას, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემომქმედ პრეზიდენტსა და მის მომხრეებს, დედაქალაქში გაჩერება სახიფათო გახდა.

ერთხანს მოსკოვში მეგობართან გაჩერდა, მალე ისევ მონატრებულ სამშობლოს და ოჯახს დაუბრუნდა და ჩაერთო მშვიდობიან ბრძოლაში კანონიერების აღსადგენად. ზვიადის გარეშე დარჩენილი ძალების ხელმძღვანელად ავტორიტეტების მოკრებას ცდილობდა. ხალხის ნდობა და დახმარება გვამხნევებდა და ისიც, რომ ჩვენი დამარცხება მორალურ დაცემას არ უთანაბრდებოდა. მართალი კაცის სიამაყე შეეძლო ირაკლის და სხვისი წარმატებითაც ხარობდა. მახსოვს, როგორ აღტაცებაში მოჰყავდა იგი ქუთაისელი ლია კაცაძის გამოსვლებს პარლამენტში.

კავშირს არ ვწყვეტდით სამეგრელოსთან. იმერეთის გზაზე მანქანით გამოსვლისას გულგრილად არ ჩაუვლიდა საგვარეულო კუთხეს, მას ჯიშადაც მოსდგამდა წინაპარ ფეოდალთა კეთილი ზნე, გალანტურობით გამოირჩეოდა. ამ სიმღერის წაღიღინება უყვარდა: "ყვავილების ნამქერი მოჰფენია ლელიანს, მე რომ გელი იცოდე, ასე არსად გელიან..." სიმღერის ეს სტროფები სილამაზითაც ხიბლავდა – ესთეტი იყო, უყვარდა და აწუხებდა ქართველთა გარყვნილი ფენის გადაგვარება. როცა ყაჩაღებმა და სამთავრობო ჯარებმა სამეგრელოც დალაშქრეს, პრეზიდენტს გალში გაჰყვა, სადაც აფხაზეთის მთავრობამ, შევარდნაძის კარნახით, მათი უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო. იქ პრეზიდენტს უთქვამს: "ვისაც ახლა საქართველოში ულხინს – საქართველოს მტერიაო".ალექსანდრე ბატონიშვილზე საუბრისას ნაღვლიანად აღნიშნავდა ჩვენი იდეური წინამძღოლობა, არისტოკრატიის წრიდან, სამწუხაროდ, ჩოლოყაშვილზე შეწყდა. შემდეგ ბრძოლა ხალხმა გააგრძელა და აქაც, სიამაყით აღნიშნა მან, დამოუკიდებლობის ორივე აქტზე, ჩვენი გვარის ოთხი წარმომადგენელი აწერს ხელს.

ერთი წელია, რაც ირაკლი აღარ არის ჩვენ შორის. ჯერ კიდევ არ მტოვებს მოლოდინის გრძნობა, რომ აი, ახლა გამოჩნდება, მოგვიკითხავს, ისევ ვისაუბრებთ ზვიადსა და მერაბზე, ჩვენს მოვალეობაზე, წინაპარ მამულიშვილებზე. ალექსანდრე ბატონიშვილზე, ქაქუცაზე, მავჩოხიანებზე, მუსტაფა შელიაზე, კოტე ხიმშიშვილზე, დედა-ენის დამცველ ჩვენს ახალგაზრდობაზე, რომელთა მოქმედება კვებავდა ჩვენს სიფხიზლეს არ შევჩვეოდით ამოყირავებულ სულიერებას, იდეურად ღარიბ ლიტერატურას.

რითი უნდა ანუგეშო მისი მშვენიერი ოჯახი! ერთ ჩვენიანს ასეთი განმარტებით უცდია უმცროსი გოგონას დამშვიდება: "ვინც ღმერთს ყველაზე უფრო უყვარს, ის მიჰყავსო". "ჩემზე მეტად უყვარსო?!" – შეკებებია პასუხად გულმოკლული შვილი.

ღირსეულ წინაპართა ტვირთის ზიდვა ახლა ჩვენს თაობას ერგო წილად და მუდამ მოწესრიგებულს, საქვეყნო ჩარხის უკუღმა ტრიალის გამო, განცდებმა ჯერ კიდევ ახალგაზრდულ ასაკში ნაადრევი ჭაღარით შემოსა.

ირაკლი ჩხეიძეს მოისაკლისებს ყველა, ვინც მას იცნობდა, მასში ძმასა და მეგობარს ხედავდა. მან ადრე დაგვტოვა – თავად ერთგულს, გულმა უღალატა, რითაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ საქართველოს გამპარტახებლებმა ტყვია ესროლეს მამულიშვილს და მამულს.

ოჯახისადმი მხურვალე სიყვარულს ირაკლის გულში სამშობლოსადმი სიყვარულმა აჯობა და ასე მიებარა იგი მშობლიურ მიწას; მსუბუქი იყოს იგი მისთვის!

**ლია ანდღულაძე**

# ჩაკლული სული, ანუ სადღაა ქაქუცას ჯიშის ქართველობა?!

ასე გადაგვარებული ქართველი ერი არ ახსოვს ისტორიას. ულუკმაპუროდ დარჩენილი მასის საფიქრალი, შექმნილი მდგომარეობის გამო მარტო ისაა, როგორ გადაირჩინოს შიმშილით სიკვდილისაგან თავი. გალაღებული მხოლოდ პრეზიდენტი და მისი ხროვაა.

მართალია საქართველოს 1801 წლიდან მთელი 200 წლის მანძილზე რუსთა უღელქვეშ იმყოფებოდა, მაგრამ მეფის რუსეთის დროს, საქართველოს, არათუ დაუკარგავს მიწაწყლის რაიმე ნაწილი, პირიქით, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად საქართველოს უკან დაუბრუნდა თურქეთის მიერ მე-16 საუკუნეში მიტაცებული ტაო-კლარჯეთი, მაგრამ ის მიწა-წყალი ბრესტის ზავით თურქეთს უკანვე გადასცა ლენინმა და სტალინმა, საბჭოთა რუსეთისათვის მათი კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად. აქედანვე მიდა ვუთხრა კომუნისტებზე შეყვარებულ ქართველებს, რომ ის უბედურება, რაც კომუნისტებმა (კერძოდ, ქართველმა კომუნისტებმა) დაატეხეს საქართველოს, არ ახსოვს ისტორიას. გარდა იმისა, რომ სტალინმა და ორჯონიკიძემ თავად შემოუსიეს რუსული არმიები საქართველოს, რათა რუსეთის სრულფასოვანი მოქალაქეობის სტატუსი მიეღოთ და ამ გზით ქვეყნის სამეთაურო პოსტებს დაუფლებოდნენ რუსეთში, საქართველოს მათვე ჩამოგლიჯეს ბოროტულად თავისი ისტორიული მიწა-წყლის თითქმის მესამედი და მეზობელ ქვეყნებს გადაუნაწილეს, ხოლო რაც წართმევას გადარჩა, ისიც ავტონომიებად დაჩეხეს. დღეს რომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებიან საქართველოს, სწორედ ის ავტონომიებია, სტალინმა და ორჯონიკიძემ რომ შეგვიქმნეს 1921-22 წლებში.

მაგრამ, ვაი რომ საქართველოს კვლა ამით არ დასრულებულა. საქართველოს საბოლოო დასაქცევად დასახელებულმა გარეწრებმა თავიანთი მიმდევარი გარეწრები შვეს: სტალინმა შვა ორჯონიკიძე, ორჯონიკიძემ შვა ბერია, ბერიამ შვა შევარდნაძე, შევარდნაძემ შვა სააკაშვილი, ხოლო სააკაშვილმა შვა „კმარული" გოგო-ბიჭები, რომლებსაც ხელთ უპყრიათ დღეს საქართველოს მართვის საჭე და უფსკრულისაკენ მიაქანებენ მას.

მართალია ბერიას არ გაუცია საქართველოს მიწა-წყალი, მაგრამ სტალინის დაკვეთითაც და პირადი თაოსნობითაც საკმაოდ ბევრი სისხლი სვა ქართველი ინტელიგენციისა. პოლიტიკური მრწამსით მასონმა შევარდნაძემ, აფსუებს და ოსებს არ აკმარა სტალინისა და ორჯონიკიძის მიერ მინიჭებული ავტონომიები და ეს ისტორიული მიწა-წყალი საჯსებით ჩამოგლიჯა საქართველოს.

თუ შევარდნაძე ცოტათი მაინც თავს იკავებდა და ოსებზე გადაცემულ სამაჩაბლოს „ცხინვალის რეგიონის" სახელით მოიხსენიებდა – „ნაციონალის" მანტიით მოელენილი სააკაშვილი ოფიციალურად აცხადებს თავის ყოველ გამოსვლაში, რომ ეს რეგიონი „სამხრეთი ოსეთიაო". სააკაშვილის მიერ ოსებისათვის მინიჭებული ამ სტატუსით გამოდის, რომ თუკი არსებობს თვით საქართველოს პრეზიდენტის მიერ აღიარებული კავკასიონი მთებზე ზურჯინივით გადაკიდებული ორი ოსეთი, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მოხდეს მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება. აი, ასე



იქმნება ამ ორი ანტიქართველი პრეზიდენტის მიერ ქართულ მიწაზე ჯერ ოსებისა და აფსუების სახელმწიფო გაერთიანებები, ხოლო შემდეგ მათ მიჰყვება ჯავახეთში სომხური ავტონომია, რომელიც ბოლოს სომხეთს შეუერთდება და ამ რეგიონის მეშვეობით სომხეთი შავ ზღვაზე გასასვლელსაც მოიპოვებს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სააკაშვილის გრანდიოზული გეგმა – ამერიკის მიერ ნაჩუქარი ფულით შავ ზღვასთან ჯავახეთის დამაკავშირებელი ფართო საავტომობილო ტრასის გაყვანა. იგივე ანტიქართულ საქმეს ემსახურება აფხაზეთში სარკინიგზო ხაზის აღდგენა, რომელიც უნდა მომხდარიყო ქართველი დევნილების დაბრუნების პარალელურად, უამისოდ კი იგი შედის მხოლოდ აფსუა სეპარატისტების, მათი უფროსი ძმის რუსებისა და უპირველეს ყოვლისა, სომხეთის ინტერესებში.

სააკაშვილის ანტიქართული პოლიტიკა აშკარად იკვეთება მისი მოქმედების ყოველ სფეროში. კერძოდ, მისი მყვირალა განცხადებები, რომ დაიბრუნებს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს", არის ბლეფი, რომელიც ემსახურება ქართველი ხალხის მოტყუებას. რომელ დაბრუნებაზეა ლაპარაკი, როცა რუსეთი ნაბიჯ-ნაბიჯ ითვისებს აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც? ხალხის შეცდომაში შეყვანას ემსახურება ასევე არაფრის მთქმელი მოლაპარაკებები აფსუა და ოს ლიდერებთან. ვინ კითხავს რამეს ამ მარიონეტებს, როცა აფხაზეთსაც და ეგრეთწოდებულ „სამხრეთ ოსეთსაც" დღეს რუსეთი განკარგავს. ხოლო ბაღაფშიც და კოკოითიც რუსი იმპერიალისტების ხელში სათამაშო ტიკინებია და მეტი არაფერი? მეტსაც გეტყვით – ბაღაბშიც და კოკოითიც რუსეთის დაქირავებული აგენტები და საკუთარი ხალხის მოღალატეები არიან, რადგან რუსეთთან მიერთების შემთხვევაში ორივე მათი ნაცუმცირესობანი ისე დაინთქმებიან უკიდეგანო რუსულ ოკეანეში, რომ კვალიც აღარ დარჩება მათი. დამოუკიდებლობას კი მათ არავინ მიანიჭებს, ისე რომ, ოსებსაც და აფსუებსაც თავიანთი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება შეუძლიათ მხოლოდ უმაღლესი ტოლერანტობის მქონე ქართველებთან კავშირში ავტონომის უფლებით;

ამგვარად, არც ბაღაფში და კოკოითი იცავენ თავისი ხალხის ინტერესებს და არც სააკაშვილი. სააკაშვილი დღეს უფრო ოსი და აფსუა სეპარატისტების ინტერესების დამცველ პრეზიდენტად გვევლინება, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტად. ბატონი სააკაშვილი განსაკუთრებით ოსებზეა შეყვარებული. ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ოსებს და აფსუებს ქართულ მიწაზე სახელმწიფოებრივი გაერთიანებები შეუქმნას. იქ დარჩენილ, სეპარატისტების მიერ დევნილ ქართულ ოჯახებსააწიოკებენ, იტაცებენ, აწამებენ, კლავენ, „ქართველი პრეზიდენტი" კი ვითომც იქ არაფერი ხდებაო, ყურსაც არ იბერტყავს, ფეხზე ეკიდებს ჯაყო და აფსუა ყაჩაღების მიერ გაწამებული ქართველების ბედს.

რაც შეეხება ამ მიწა-წყლის საქართველოსათვის უკან დაბრუნებას. სჩანს ბატონ პრეზიდენტს რეალურად არც იმის გაკეთება სურს. არადა, არათუ პრეზიდენტს, ყოველ რიგით ქართველს კარგად მოეხსენება, რომ ვიდრე საქართველოში დგას „სამშვიდობო" ნიღბით რუსეთის საოკუპაციო ჯარი – სეპარატისტების მთავარი წამქეზებელი ძალა, არც ოსები და არც აფსუები არავითარ კომპრომისებზე არ წამოვლენ. მითუმეტეს, როცა ქართველები მათ ფართო ავტონომიას ჰპირდებიან საქართველოს იურისდიქციაში, რუსები კი, ფარისევლურად, – დამოუკიდებლობას.

მაშ რა უნდა გაკეთდეს ამ ორი რეგიონის უკან დასაბრუნებლად, თუკი სააკაშვილს ამისი სურვილი ექნება? 1. მან პირველ რიგში თავის მამობილი შევარდნაძე უნდა გაასამართლოს ამ მიწა-წყლის გაცემისათვის. 2. რუსეთი უნდა გამოცხადდეს აგრესორ ქვეყნად, რომელმაც მიიტაცა ქართული მიწა-წყალი. 3. რამდენადაც რუსეთი საქართველოსთან მეომარი მხარეა,

გაგრძელება მე-19 გვ.

დასაწყისი მე-18 გვ.

მის ჯარს უნდა მოეხსნას „მშვიდობის დამცველთა" სტატუსი, გამოცხადდნენ ისინი ოკუპანტებად – შემდეგ ეთხოვოს გაეროს, რუსული ჯარი შეიცვალოს ნეიტრალური ქვეყნების ჯარებით. და, აი, როცა აფხაზებსაც და ოსებსაც რუსი ოკუპანტების სახით მოეშლებათ ზურგი, ცქვა-ცქვით წამოვლენ ისინი კომპრომისულ მოლაპარაკებებზე. მაგრამ იზამს კი ამას საკაშვილი? არა, რა თქმა უნდა. მაშ რა უნდა გააკეთოს ქართველმა ხალხმა იმ კრიზისიდან გამოსასვლელად, რომელშიაც მოაქციეს უცხოეთის სამსახურში მყოფმა, ანტიქართველმა პრეზიდენტებმა? უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის მართვის საჭეს უნდა ჩამოაცილოს „ნაციონალურის" ნიღბით შემოპარული კმარელ-კოსმოპოლიტთა ხროვა და სათავეში მოიყვანოს აწ უკვე საგულდაგულოდ შესწავლილი, ერისა და ქვეყნის გულშემატკივრობით ცნობილი კაცი. მაგრამ შეძლებს კი ამას ის ქართველი, რომელიც ტილიან ჯაყოს ვერ გამკლავებია? ახ ერთი წამოახედა მიხეილ ჯავახიშვილი და აჩვენა, როგორ შეიხსა ხორცი დღევანდელ საქართველოში მისმა დიდებულმა ნაწარმოებმა – „ჯაყოს ხიზნებმა". ერთი დაანახა, ჯაყოს ნაშიერებს რა დღეში ჰყავთ საქართველო, – როგორ ასხედან ისინი თავზე ქართველობას და მის უსუსურ პრეზიდენტს. მოასმენინა ერთი, საკაშვილი და მისი ამალა მუხლებზე დაჩოქილი როგორ ეთუდარებიან გუშინ ტყიდან გამოსულებს: ჯაყო, აპა ქართული მიწა-წყალი, მიიღე რამდენიც გინდა, მოიწყე აქ შენი ოსური სახელმწიფო, ოღონდაც კი შეგვირიგდი! ასევე, თავზე ნაცარწაყრილი ევედრება ჯაყოს ნაკაცარი ქართველი: აპა ჯაყო, აიღე რამდენიც გინდა გამოსასყიდი, ოღონდაც გამინათესუფლე დატყვევებული ცოლშვილი! აი, სადამდე დაეცა ქართველობა – აი, როგორ ჩაქრა ქართველში ის ვაჟკაცური სული, რომლის ერთ-ერთი ბრწყინვალე განსახიერება გახლდათ ქაქუცა ჩოლოყაშვილი.



მაგრამ, მარტო ამ მხრივ როდია სხვაობა ქაქუცას ჯიშის ქართველებსა და ჩვენი დროის დაჩიავებულ ქართველებს შორის. ქართველი დღეს გონებრივადაც დაჩლუნგდ. სამშობლოს დიდი პატრიოტი ქაქუცა და მისი თანამოაზრე რაზმელები საქართველოს მოღალატეებს ებრძოდნენ, ვინც რუსული არმიები შემოუსია საქართველოს და თავის პირად კარიერაზე გაყიდა სამშობლო. დღევანდელი ქართველი კი იმ კაცის სადღეგრძელოს სვამს და სათავაყვანებელ სტატიებს ბეჭდავს პრესის ფურცლებზე, ვინც არა მარტო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას უთავა (ორჯონიკიძეს, ამ და სხვა ბოროტულ საქმეებში მეორეხარისხოვანი როლი უკავია), არამედ, ვინც ქართული მიწები საქართველოს მეზობლებს ჩამოურიგა და ქართველი მამულიშვილების ზღვა სისხლი დაღვარა.

მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს არცერთი ტირანი, რომელსაც იმდენი ვნება მიეყენებინოს თავისი მშობელი ქვეყნისათვის, რაც სტალინმა მიაყენა საქართველოს. ამავე დროს, მსოფლიოში არ მოიძებნება ერი, რომელსაც ისე შეჰყვარებოდა თავისი ქვეყნის დამაქცევარი, როგორც იგი უყვარს ქართველთა საკმაოდ დიდ ნაწილს. ამათ შორის არის არა მარტო ბრიყვი მასა, არამედ გაზეთების რედაქტორები, ტელევიზიის მუშაკები, ისტორიკოსები და მათ შორის არაერთი მწერალიც. მათი ეს ფანატიზმი იქამდე მიდის, რომ სტალინის თაოსნობით ჩადენილ ცოდვებს მთლიანად და სავსებით აბრალებენ მის მოადგილეებს – ორჯონიკიძეს, ბერიას, იაგოდას, ეჟოვს, ოღონდაც კი სტალინი მამა აბრამის ბატკნის სახით წარმოგვიდგინონ. ხოლო რუსეთ-გერმანიის ომს, რომელიც ორივე მხრივ იყო იმპერიალისტური (საქართველოსათვის კი სულ ერთი ყო, რომელი მგლის ხახაში აღმოჩნდებოდა), ისე გვისაღებენ, თითქოსდა რუსეთის კოლონიურ მონობაში მყოფი საქართველოსათვის ყოფილიყოს „სამამულო ომი".

ზემოთ ვთქვი და კვლავ ვიმეორებ: ქართველი ერი ქვეყნის ბედის მიმართ თავისი ინდიფერენტობით, თავისი საბრძოლო სულითა და პოლიტიკური აზროვნებით ასე დაცემული არასოდეს ყოფილა. თქვენ თავად განსაჯეთ: ერი, რომელიც თავისი ქვეყნის ულმობელ მტერს, – კაციჭამია ჯალათს, თანაც გაურკვეველი ვინაობის კაცს, სალოცავ ხატად გაიხდის, – საქართველოს ნებისმიერ რეგიონში ჩასულ პრეზიდენტს, ასიათასობით სამსახურიდან გაყრილი და ულუკმაპუროდ დარჩენილი უმუშევარი, ასევე სასიკვდილოდ განწირული პენსიონერი, ნაცვლად პროტესტისა, ტაშ-ფანდურით რომ შეხვდება, - ასეთი ხალხი არაა სასიცოცხლო, იგი ფურთხის ღირსია! ხოლო პრეზიდენტი, რომელიც ამგვარ ჯალათად მოევლინება თავის ერს, დასამხობი და ისტორიის სანაგვეზეა მოსასროლი.

**მიხეილ მჭედლიშვილი.**

*მასალა ქვეყნდება ავტორის გარდაცვალების შემდგომ (რედ.).*

## რეზო წიქლაურის ხსოვნას

კიდევ ერთი გულმხურვალე პატრიოტი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ქართველი წავიდა ჩვენგან. რეზო წიქლაური ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომელიც ბავშვობიდან, სკოლიდან, სტუდენტობიდან, ყმაწვილკაცობიდან, უბანსა თუ მეგობრებში, ეროვნულ მოძრაობაში გამორჩეული იყო ვაჟკაცობით, ერთგულებითა და პატიოსნებით. ეროვნული მოძრაობის დროიდან ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ზვიად გამსახურდიას მცველთა შორის. შიდა ქართლსა და აფხაზეთის ომგამოვლილი და მრავალჯერ დაჭრილი იმაზე წუხდა, რომ საშუალება მას არ მიეცა, ყველაზე მძიმე წუთებში, ყოფილიყო პრეზიდენტის გვერდით. ბოლო წლებში ჯანმრთელობა უკიდურესად შერყეულს ერთი სურვილიღა აცოცხლებდა – მოსწრებოდა მისი სათაყვანებელი პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებას.



სიმბოლურად დასრულდა მისი სიცოცხლეც – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სამშობლოში ჩამოსვენების პირველივე დღეს აღესრულა. მას მისი წილი აგური დადებული ქონდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**მეგობრებისა და თანამებრძოლების სახელით:**

**ბონდო მაისურაძე,**
**არსენ შოთნაძე,**
**კობა მძელური,**
**სიმონ ბერიძე,**
**შალვა ჩოლონდრიშვილი.**

# ჯვართმებრძოლობა და მართლმადიდებლური ეკლესიის ნგრევა საქართველოში

ყოველმა ცივილიზებულმა და განათლებულმა მოკვდავმა უწყის, რომ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდგომ, ქრისტეს ზეცად ამაღლება მეორე დიდი დღესასწაულია მართლმადიდებლური სამყაროსათვის. ამ დღესასწაულს თაყვანითა და სიხარულით ზეიმობს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია და მრევლი. სააკაშვილის გლობალისტურმა და ანტიმართლმადიდებლურმა ხელისუფლებამ კი, სწორედ ამაღლების ღამეს, ხელვაჩაურის რაიონში, ფერიის მთაზე წმიდა გაბრიელის სახელობის მშენებარე ეკლესია დაანგრია და აჭარაში ჯვართმებრძოლობაც გააჩაღა; მრავალმეტრიანი ჯვრები „გააქრეს" ქობულეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიიდან და ჩოლოქის ხიდიდანაც, ხობის ცენტრიდანაც აგრეთვე ხაშურში აღმართული ჯვარიც იმ მოტივით მოხსნეს, რომ ამ ტრასაზე თურქი მძღოლები მოძრაობენ და ჯვრის მათ საყალზე არსებობა მოზანშეუწონელიაო. ასეთი დემაგოგიურია გლობალისტ ქართველ ხელისუფალთა „ტოლერანტიზმი".



მთელი ქართველი ერი შესძრა ხელვაჩაურის გამგეობის ვანდალიზმმა მართლმადიდებლური მშენებარე ეკლესიის მიმართ. მათმა თავგასულმა, მკრეხელურმა ქმედებამ იმდენად გაამძაფრა ქართველი ერის პროტესტი, რომ თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან აჭარისაკენ დაიძრა მართლმადიდებელი მრევლი და სამღვდელოება, სტუდენტობა, ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების საკმაოდ სოლიდური წარმომადგენლობა.

თბილისში კი, პარლამენტსა და სახელმწიფო კანცელარიის შენობებთან, გვიან ღამემდე იმართებოდა საპროტესტო აქციები, რომელსაც ძირითადად სტუდენტი ახალგაზრდობა ხელმძღვანელობდა. ჯვართმებრძოლობა და ეკლესიის ნგრევა აჭარასა და დანარჩენ საქართველოშიც გააპროტესტა ინტელიგენციამაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ფერიის მთაზე მართლმადიდებლური მშენებარე ეკლესიის დანგრევამ აჭარის მუსლიმანთა მოსახლეობის უკმაყოფილებაც გამოიწვია, რომლებმაც ფერიის მთაზე მისვლით გამოხატეს თავიანთი თანადგომა მართლმადიდებელთა მიმართ.

ხელვაჩაურის რაიონში სხვადასხვა კუთხეებიდან ჩასულმა მართლმადიდებელმა მრევლმა (ბათუმიდან, გურიიდან, ფოთიდან, თბილისიდან...) ფერიის მთასთან მოიყარა თავი, რომლებიც ერთობლივად აპროტესტებდნენ ხელისუფლების ვანდალიზმს. ხელისუფლებისა, რომლის „სტრატეგიულ" მიზანს წარმოადგენდა ფერიის მთაზე, ეკლესიის ნაცვლად, გასართობი სათამაშო ატრაქციონების აშენება.

ჩვენდა სამწუხაროდ, სააკაშვილის ტაკიმასხრული ხელისუფლების ვანდალიზმზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქის თავდაპირველი პასუხი შემგუებლური და არაფრისმთქმელი იყო: „რა შეფასება უნდა გავაკეთო, რაც მოხდა სამწუხარო ფაქტიაო", ასე უპასუხა მან ჟურნალისტებს. ხოლო აჭარაში შეკრებილ მრევლს, მთავრობასთან დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით, დაშლისაკენ მოუწოდა. პატრიარქის ამგვარმა პოზიციამ „დამაიმედებელი" პროგნოზის გაკეთების საშუალება მისცა ხელისუფლების მთავარ იდეოლოგს გიგა ბოკერიასა და კულტურის მინისტრს გოკა გაბაშვილს: ეკლესიის დანგრევის ფაქტი არ დაძაბავს და არ გააფუჭებს ჩვენს ურთიერთობას საპატრიარქოსთან-ო.

საბედნიეროდ, შეურაცხყოფილმა ქართველობამ უკან დახევა და დანებება არ ინება; ჯვრისა და ეკლესიის დასაცავად ერთიანად გამოვიდა და დანგრეული ეკლესიის ხელახალ მშენებლობას ჯიუტად და პრინციპულად შეუდგა, ჩოლოქის ხიდთანაც აღადგინა ჯვარი, რითაც ხელისუფლება თავად აიძულა დაეხია უკან.

„გამქრალი" ჯვრები მორწმუნე მრევლმა აღადგინა ხაშურშიც და ხობშიც.

ეს იყო გაერთიანებული ქართველების ერთსულოვნების ბრწყინალე დემონსტრირება, რის შემდგომაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმაც ინება მტკიცე და პრინციპული შეფასების გაკეთება მომხდარ ვანდალიზმის ფაქტზე.

ფერიის მთის ეკლესიის ეს უახლესი ფურცელი შთამბეჭდავ და საგულისხმო მაგალითად უნდა იქცეს ჩვენს მომავალ ბრძოლებში ერისა და ქვეყნის ინტერესების, კულტურული მემკვიდრეობისა თუ ტრადიციების დაცვის საკითხებში და ღმერთიც ყოველთვის ჩვენთან იქნება.

რაც შეეხება პრეზიდენტის შეხვედრას პატრიარქთან და მოლაპარაკების შედეგებს, იგი ურთიერთკომპრომისული იყო. მაშინ, როცა შექმნილი ფონი, პატრიარქის მტკიცე პრინციპული პოზიციის შემთხვევაში, იძლეოდა შესაძლებლობას ფერიის მთის სამშენებლო კომპლექსიდან „ამოეარდნილიყო" გასართობი პარკის მშენებლობა და იქ მხოლოდ ქორწინების სახლისა და ეკლესიის მშენებლობაზე შეჯერებულიყვნენ, მაგრამ, რადგან ეს შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული პატრიარქის მხრიდან, ალბათ, საპატრიარქო და აჭარის ეპარქია იზრუნებს, რომ თვით ფერიის მთის ეკლესია მაღალი გალავნით იყოს შემოსაზღვრული-დაცული.

**ლეილა ცომაია**

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

**რედაქტორი** ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55